წელიწადი—მეორე ფასი 7 კაპ. სამშაბათი, 8 გიორგობისთვე 1916 წ. № 249

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

ფასი ხელმოწერისა: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით 4 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პირობებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 5 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 6—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
პროვინციიდან ფოსტით გაზეთის გამოწერა 1-ლ გიორგობისთვიდან ამა წლის დამლევამდე არ შეიძლება.
რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

ნაფიცი ვექილი გ. ორგი დიმიტრის ძე დაფქვიაშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაუვიწყარ საყვარელი მეუღლის

თამარ ლაზარეს ასულის
დაფქვიაშვილის

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, გიორგობისთვის 9-ს, კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე წირვისა და წესის აგების შემდეგ. პანაშვიდები იქნება გადახდილი დღეს, გიორგობისთვის 8-ს, დილის 10 საათზე და საღამოს 7 საათზე იმავე ეკლესიაში.
(1—239—1)

დეკანოზი ლაზარე ტურიაშვილი შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ განსვენებულის საყვარელის შვილის

თამარ ლაზარეს ასულის
დაფქვიაშვილის

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, გიორგობისთვის 9-ს, კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე, წირვისა და წესის აგების შემდეგ.
პანაშვიდები იქნება გადახდილი დღეს, გიორგობისთვის 8-ს, დილის 10 საათზე და საღამოს 7 საათზე იმავე ეკლესიაში.
(1—236—1)

ნინო დიმიტრის ასული დაფქვიაშვილისა, მიხეილ და ალექსანდრე დაფქვიაშვილები და მეუღლე მიხეილ დაფქვიაშვილისა მართა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველ სამის დაუვიწყარ რძლის და მეორის—ძვირფას მაზლის ცოლის

თამარ ლაზარეს ასულის
დაფქვიაშვილის

დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, გიორგობისთვის 9-ს, კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე წირვისა და წესის აგების შემდეგ. პანაშვიდები იქნება გადახდილი დღეს, გიორგობისთვის, 8 ს დილის 10 საათზე და საღამოს 7 საათზე იმავე ეკლესიაში. (1—239—1)

9 ნოემბერს იქნება გადახდილი 40-ის პანაშვიდი ჩვენის დაუვიწყარი და ძვირფასი დედის

ანნა ივანეს ასული
ბილანიშვილის

სულის მოსახსენებლად სოფელ პატარძეულში, საფლავზედ, შიგ ხარების მღვთისმშობლის ეკლესიაში, სადაც დაკრძალულია განსვენებული, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები ნინო, სონა, ელენე, ნიკო, ზაქარია და კონსტანტინე სოლომონის ძანი ბილანიშვილები და რძალი ევგენია ანდრიას ასული გიორგიანოვა-ბ ლანიშვილისა,
(1—384—1)

6 გიორგობისთვეს თბილისში უეცრივ გარდაიცვალა

ალექსანდრე (საშა) ქრისტეფორეს ძე
მამაცაშვილი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი სოფიო ზაალიშვილის ასული შვილებით და თამარ ზაალიშვილის ასული რატიშვილისა. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, თეოდოსის ქუჩაზედ № 24. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.
(1—386—1)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 163, საზამთრო შენობა)

სამშაბათს, 8 გიორგობისთვეს,

სინემატოგრაფი და სიმფონიანი ორკესტრი

გ-ნ სინკევიჩის ლოტბაროზით

სტუმრები შემოდიან საზოგადო წესით. ◆ **დასაწყისი საღამოს 8½ ს.**
(1—238—1)

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა
7 გიორგობისთვიდგან:

ორშაბათს
ოპერეტა
ბილეთები 1 მ.-დან 30 კ.-დე.

სამშაბათს
კონცერტი
სიმფონიანი ორკესტრისა
ვოლფ-იზრაილის ლოტბაროზით.

ოთხშაბათს
სინემატოგრაფი.

ხუთშაბათს
ქართული წარმოდგენა
ბილეთები 50 კაპ.-დან 30 კ.-დე.

პარასკევს
ოპერეტა
ბილეთები 1 მან.-დან 30 კ.-დე.

შაბათს
მუსიკალური საღამო
პროფესორ ხადნოევისა.

კვირას
რუსული წარმოდგენა
ბილეთები 50 კ.-დან 30 კ.-დე.

დასაწყისი: კონცერტებისა საღ. 9 საათზე.
„ წარმოდგენ. „ 8½ საათზე.
„ სინემატოგრაფისა „ 8½ საათზე.
სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ ფასს: მამაკაცები 1 მან. მანდილოსნები და სტუდენტები (ფორმით) 50 კაპ.
(1—237—1)

ქ. ქუთაისში ახლად დაარსებული
„საურთიერთო ნდობის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოების“
საორგანიზაციო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოება დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალი 1917 წლის 1 იანვრიდან; წევრების მიღება კი დაიწყება მდგომარე წლის 7 ნოემბრიდან.
ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაწერა, განცხადებით უნდა მიმართოს კომიტეტის წევრს—ხაზინადარს ა. მ. კრინიცკის, ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს სადგომში, და თან შეიტანოს იმ კრედიტის 10%, რომლის გახსნასაც თხოულობს.
3—238—3)

პირველ ხარისხოვანი რესტორანი

კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია

ყოველ დღე მზადდება
საუზმე — ჩაი
სადილები — ყავა
ვახშმები — ხაჭაპური
პიროჟკები

ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.

პატივისცემით ხილ. ხ. გიგიბერია.

ეკონომის
სასადილო
„ეკონომია“
პუშკინის ბაღის პირდაპირ.

„ფრანციის“ ნომრების ქვეშ, შტაბის ქუჩა.

მოწყობილია ევროპიულ პირველ ხარისხოვან რესტორანების მსგავსად. საჭმელები ევროპიულიც არის და ადგილობრივიც. ყოველ დღეა: ხარშო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, „პიროჟკი“ და სხვა საუზმე. სადილი და ვახშამი. მიუხედავად სანოვაგის სიძვირისა, „ეკონომიაში“ სადილები ძეტად იაფია. გამოცდილი მზარეული სადილს კარაქით ამზადებს.

სასადილოში არის ნარდი და ბილიარდი

პატივისცემით „კაფე-პარიზის“ წინანდელი მწარმოებელი
დიმიტრი უჩ. გიგიბერია და ნ. ზ. ქურთაური
(თ. 253)

ღვინის საწყობი

ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელხაურედ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆

კახური ღვინო

განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

ქ. თბილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია“

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.
ლაზარეთებს დ სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.
მელანი ახლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება
ადგილობრივ თუ გაგზავნით.
მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.
(თ.—228—თ.)

კბილის ექიმი
ნ. გ. ხელიძე-ალშიბაია

იღებს ავადმყოფებს კვირაუქმე დღეების გარდა დილის 10—2 საათამდე. ანდრეევის ქუჩა № 99, რკინის გზის საავადმყოფოს გვერდზე. ტელეფ. 4-83.
(5—373—3)

ექიმი
ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის ხაზაინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9½-დან 1 საათამდე და ნაშუადღევის 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

◆ **პროვიზორის ახვლედიანისა** ◆

ექიმი
კ. ი. ვვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

სტუდენტები

(დახელოვნებული რეპეტიტორები)

ამზადებენ მსურველთ—ორსავე სქესისას ყველა საშუალო სასწავლებელთათვის. სპეციალურად სასულიერო სემინარიებისთვის. ოლღას ქუჩა № 56. იკითხეთ 10—12 საათ. დილით.
(6-385-1)

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

საჭიროა მუშები
რკინის გზის სამუშაოთ

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მიხაილოვის ქ. № 109. ფოტოგრაფში.
(4-382-4)

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

უნდა ზომები მივიღოთ!

ბევრი უბედურობა თავს იმიტომ დაგვტეხია, რომ დროზედ ვერ გვითქვამს რაც სათქმელი იყო. ბევრი შავი დღე მხოლოდ იმიტომ გვწვევია, რომ დროზედ ვერ გადაგვიდგამს, რა ნაბიჯიც იყო გადასადგმელი. ძნელი წარმოსადგენია ისეთი შიში დ მოკრძალება მოქმედებისა და საქმიანობის მიმართ, როგორი შიში და მოკრძალება ქართველ კაცს აქვს გამჯდარი. იცის და დარწმუნებულია ქართველი, რომ თუ ასე არ მოიქცა, თუ ეს ამრიგად არ გააკეთა, უეჭველად დიდი და გამოუსწორებელი ზარალი მოუვა, მაგრამ მისთვის არ კმარა ეს შინაგანი რწმუნება, ეს ცოდნა, რომ გაისარჯოს და ამოქმედდეს. ეს ინერტობა და უხალისობა გაქანებისა და მოქმედებისაკენ ჩვენი ბუნების თვისებად არის გადაქცეული და მთელი თაობათა მიზანშეწონილი აღზრდა დაგვჭირდება, სანამ მივაღწევდეთ იმ სასურველ ყოფას, რომ ქართველს მოქმედება არ ეზარებოდეს, რომ მას საქმე და თაოსნობა ეხალისებოდეს. დიდის ბრძოლით და ბევრი ენერგიის დახარჯვით თუ შეიძლება ამ მდგომარეობის მოახლოვება. ეს ბრძოლა და ენერგიის ეს ხარჯვა უნდა ყოველდღე ვაწარმოვოთ, უნდა ვწვრთნათ და ვახალისოთ ჩვენი ხასიათი თითოეულ შესაფერ კონკრეტ მაგალითზე.

ავიღოთ თუნდაც ყაჩაღთა თარეშის მაგალითი. ყველამ უწყის, თუ რა სიგრძე-სიგანე მიიღო ამ მოვლენამ, თუ როგორ განმტკიცდა და გაზოგავდა იგი ქართულ პროვინციებში. ეს მოვლენა რომ თავისთავად დიდ უბედურებას გვიქადის, რომ მას საზოგადო ცხოვრებისა და საქმიანობის დაშლისაკენ მივყევართ, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირია. მაგრამ არის მეორე მხარე, რომელსაც ბევრი ანგარიშს არ უწევს. ეს არის მთავრობის გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე ამ გახშირებულ ყაჩაღობის ჩასაქრობად. ამის თაობაზე კიდევაც ჩამოვაგდეთ სიტყვა ერთ-ერთ წინა წერილში. დღესაც ამაზედ გვსურს ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ რაც მაშინ სავარაუდო შიშის სახით წარმოვიდგინეთ, დღეს მთავრობამ დაგვიდასტურა ოფიციალი განცხადების სახით. ჩვენ ვწერდით, რომ მთავრობა ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ვერ დასდგებოდა საზოგადოებრივი ყაირითობისა და დაზოგვის ნიადაგზე, რომ იგი ჩვენს პროვინციებში ძალაუნებურად შიშველის იარაღით შეიჭრებოდა და დამსჯელ

რაზმებით და ეგზეკუციებით შეეცდებოდა საქმის ლიკვიდაციას, და რომ მას თვით უსაშინელეს და უსასტიკეს ზომის მიღების გასამართლებლად საბუთი არ დააკლდებოდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტის ვოლსკის განცხადება, 2 გიორგობისთვის თარიღით გამოცემული. გენერალი აღნიშნავს, ყაჩაღთა თარეში, გარდა მცხოვრებთა შევიწროებისა, ჯარის ზურგის არევ-დარევას და დაშლას იწვევს და ამიტომაც უსასტიკესი ზომები იქნება მიღებული ყაჩაღების წინააღმდეგაო. თუ მთავრობამ ფორმალურად ეს მოსაზრება ხელზე დაიხვია და თავის მოქმედების საბუთად ჯარის ზურგის გამაგრება გამოაცხადა, მორჩა და გათავდა. მაშინ ყოველი ღონისძიება და საშუალება კანონიერად და ნებადართულად იქნება აღიარებული. ამ შეგნებით და დავალებით ჩაყენებული ეგზეკუცია ქვეყანას ნამდვილ ღვთის რისხვად მოევლინება. და ამ ეგზეკუციის ბრძოლის მეთოდს მარტო ყაჩაღები და ბოროტმოქმედნი კი არ მოჰყვებიან, არამედ და ნამეტურ თვით უდანაშაულო სოფლის ხალხი. ამ უბედურების თავიდან აცილება არც ისე ძნელი იქნება, უკეთუ ქართველი საზოგადოება ამისთვის თავს გამოიდებს. საჭიროა ამ საკითხის გამოსარკვევად წინასწარი თათბირი გაიმართოს და ამ თათბირზედ შემუშავებული იქნას მისაღები ზომები. თათბირის მოწყობა ჩვენის აზრით უნდა თავს იდვას ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირმა, რომელიც მოუწოდებს ყველას, ვინც ამ საქმისთვის სასარგებლო და გამოსადეგი აღმოჩნდება. თუ ჩვენი საზოგადოება ერთგვარ შუაკაცად გამოვა მთავრობასა და დარბეულ სოფლის ხალხს შორის, მაშინ შესაძლებელი გახდება, რომ მთავრობის ძალაც თავისი სახიფათო ხასიათი დაჰკარგოს და ჩვენს სოფლებს ნაცვლად ზედმეტი დარბევისა, სიწყნარე და მშვიდობა მოუტანოს.

გ. ვაშაძე

ომის ამბები

ბრძოლის ველზე

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ სალონიკის ასპარეზი კვლავ ახმაურდა. სალონიკში საფრანგეთის სამხედრო მინისტრ ბ. როკის მოსვლისთანავე დაიწყო მოკავშირეთა შეტევა. ეტყობა, როკი განსაკუთრებულ მისიით ყოფილა გამოგზავნილი ფრანგებისა და ინგლისელების მიერ. რუმინეთის დღევანდელ მდგომარეობას დაუყონებლივი დახმარება სჭირია. მოკავშირენი იძულებულნი არიან, რაც კი შეიძლება, მალე გამოეხმაურონ თავიანთ ახალ მეგობარ-მებრძოლს, აიძულონ გერმანელები თავიანთი შეტევა შეასუსტონ და თანაც ჯარების მიშველება ველარ შესძლონ. ერთის სიტყვით, მოკავშირეთ ამ მიზნის მისაღწევად გერმანელებისათვის ბრძოლითვე უნდა გაეცათ პასუხი. დასავლეთ ასპარეზზე უკანასკნელ ხანებში დაწყებული შეტევა უფრო რუმინეთის მდგომარეობით იყო გამოწვეული. მართალია, ფრანგებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ადგილები დაიკავეს, მაგრამ მაინც არსებითი გავლენა ვერ იქონია ამ შეტევამ გერმანელებზედ და უკანასკნელი კვლავინდებურად განაგრძობს რუმინეთისაკენ ჯარების გზავნას. საზოგადოდ, დასავლეთის ბრძოლის ველი იმდენადაა გამაგრებული გერმანელების მიერ, რომ აქ ერთის დაკვრით მოპირდაპირის დამარცხება ჯერ-ჯერობით მაინც ყოვლად შეუძლებელია. დარჩა სალონიკის მიდამო: გენ. სარაილის ჯარს წილად ხვდა რუმინეთის შველა.

საფრანგეთის და სერბიის ჯარებმა აქტიური შეტევა უფრო 19 ოქტომბრიდან იწყეს. ამ დღეს მათ საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს დოირანის ტბასთან მდ. ჩერნიასთან. 20-ში სერბიელებმა წინ წაიწიეს ამ მდინარის ნაპირებთან. 28 ღვინობისთვეს განუწყვეტელი შეტაკებები ხდება. ამ დღეს კი სერბიელებმა საგრძნობლად დაამარცხეს ბულგარელები, დაიკავეს სოფ. პოლოკი, შეიპყრეს 600 ტყვე და ხელთ იგდეს ათი ზარბაზანი და ათი ტყვიისმფრქვეველი. 29-ში სერბებმა კიდევ წინ წაიწიეს და 1000 ჯარისკაცი დაატყვევეს. 30-ში მოკავშირეებმა დაიკავეს სოფ. ივენი და 16 ზარბაზანი ხელთ იგდეს. ეს მოკლე ცნობა ნათლად მოჰწმობს, თუ რა ინტენსიურად ვითარდება შეტევა ბოლგარელების წინააღმდეგ. გუშინდელი ოფიციალი დეპეშა გვამცნობს, სერბები ქალ. მონასტირში შევიდნენო. ცხადია, მოკავშირეს ეს ქალაქი უბრძოლველად აუღია. ბულგარები მას შემდეგ, რაც მდ. ჩორნაით და დოირანის ტბით იძულებულნი გახდნენ უკან დაეხივნათ, მონასტირის ბედი გადაწყვეტილი იყო. მონასტირის დაპყრობას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. არსებითს ცვლილებას ბრძოლის ასპარეზზე ამ ქალაქის აღება ვერ მოახდენს. მთავარი სტრატეგიული ადგილი მდ. სტრუმიცაა და, სანამ მოკავშირენი ამ მდინარეს სავსებით არ დაეპატრონებიან, ლაპარაკი ბოლგარელთა დამარცხებაზე ნაადრევი იქნება.

რუმინეთის ასპარეზზე გერმანელები კვლავ განაგრძობენ შეტევას და აიძულებენ რუმინელებს მდ. ჟიუზე და ალიუტაზე უკან დაიხიონ. ამრიგად, დღეს-დღეობით უპირველესად პატარა ვლახეთის ბედი სწყდება. პატარა ვლახეთის დაპყრობით მდ. დუნაის კარგა მოზრდილი ნაწილი გადადის მოპირდაპირის ხელში. ამას კი მეტად დიდი მნიშვნელობა ექნება გერმანელებისათვის, ვინაიდან თვით მდ. დუნაი ძალიან ხელსაყრელი საკვები ბაზაა. მდ. დუნაით მტერს შეეძლება აუარებელი მასალა მიაწოდოს როგორც ბოლგარეთს, ისე დობრუჯში მოქმედს მაკენზენის ჯარს.

დობრუჯში და დანარჩენ ბრძოლის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

X.

ომის დეპეშები

6 გიორგობისთვე.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. მთელ ბრძოლის ხაზზე მზვერავთა მოქმედება და სროლაა. ტყიან კარპატებში, შიბენის სამხრეთ მიდამოებში, მტერი გვიტევს, ადგილ-ადგილ უკანაც დაგვახევინა, მაგრამ სამაგიერო იერიშით უკუვაგდეთ და წინანდელი მდგომარეობა აღვიდგინეთ. თოვლ. გზები გაფუჭდა.

კავკასიის ასპარეზზე, სულტანაბადის მიდამოებში ოსმალების შემოტევა სროლით მოვიგერიეთ.

რუმინეთი. ტრანსილვანიაში, მდ. ალიუტისა და ჟიუს ველებში მოპირდაპირე დაჟინებით იერიშებს განაგრძობს.

დუნაის ასპარეზზე ჩვენი მოწინავე რაზმები სამხრეთისაკენ წინ იწევენ.

7 გიორგობისთვე.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზზე სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

რუმინეთი. ტრანსილვანიაში, მდ. ჟიუს და ალიუტის ველებში, მოპირდაპირემ ძლიერის ძალებით შეუტია რუმინელებს და ცოტა უკან დაახევინა სამხრეთისაკენ. მდ. ტირგულუის ველში რუმინელებმა შეუტიეს და მაღლობების მთელი რიგი დაიჭირეს.

დუნაის ასპარეზზე არსებითი, არაფერი მომხდარა.

6 გიორგობისთვე

ურმია. დიდი მთავარი ბორის ვლადიმირის ძე, ურმიაში ჩამოვიდა. მას შეეგება ქრისტიანი და მაჰმადიანი მოსახლეობა.

პარიზი. სწრაფი ოფიც. ცნობა. მოკავშირეთა აღმოსავლეთის ჯარი დილით ქალაქ მონასტირში შევიდნენ.

ათინა. გენერალმა სარაილმა ნეიტრალი ხაზი გაავლო ლიაკოვიკიდან მოლიტის ჩრდილო ქედების გასწვრივ. აქედან ხაზი სამხრეთისაკენ უხვევს და გსვიჩიდან ლიტოხორის სამხრეთით თავდება. სარაილმა განკარგულება მოახდინა, რომ ეს ხაზი ჯარმა დაიჭიროს.

საბერძნეთის მთავრობამ გენ. სარაილს 50 ვაგონი დაუთმო.

გერმანეთმა უარი განაცხადა გენერალ ხაჯოპულის მეციხოვნე ჯარის სამშობლოში დაბრუნებაზე. ეს ჯარი გერმანეთში იმყოფება და ომის დასრულებამდე იქვე დარჩებაო.

ლონდონი. თემთა პალატა. ბრუკსი მონარ-ლოუს შეეკითხა: მართლა შეთანხმდნენ მოკავშირენი, რომ რუსეთს საომარ ხარჯების ასანაზღაურებლად სტამბოლი დაუთმოსო. მონარლოუმ უპასუხა: ამ კითხვის პასუხი მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოთა დასტურით შემიძლიანო.

ციურიხი. ავსტრიის მიერ დაპყრობილ ოლქების ოფიციალ გაზეთში 9 ღვინობისთვის თარიღით დაბეჭდილია: ყველა თემებში გამოიკვრება სიები იმ მოხალისეთა ჩასაწერად, რომელთა წლოვანება 18—45 უდრის. აფიცრებს 50 წლამდე გაიყვანენ. მოხალისეთაგან შეადგენენ ქვეითა ჯარს ტყვიისმტყორცნელებისა, ცხენოსანს, საბარგო და სასანიტარო რაზმებს. პოლონეთის ჯარს გერმანეთის ჯარისკაცთა მოვალეობა და პასუხისმგებლობა დაეკისრა. მათ ბაირახზე გამოსახული იქნება თეთრი არწივი წითელ დროშაზე.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიც. ცნობა 3 გიორგობისთვისა. ჩრდილო და ჩრდილო დასავლეთის ასპარეზი. მოლდავიის დასავლეთის საზღვარზე მტერმა რამდენჯერმე უშედეგო იერიში მოიტანა. ხელთ ვიგდეთ 90 ტყვე და 2 ტყვიისმფრქვეველი. მუნტენის ჩრდილოეთ მიჯნებიდან პრახოვის ველამდე უმნიშვნელო შეჯახება და ზარბაზნების სროლაა. დრაგოსლავლის მიდამოებში მოპირდაპირემ მედგრად შემოუტია, მაგრამ უნაყოფოდ. მდ. ალიუტას ველში ცხარე ბრძოლაა. მდ. ჟიოს მიდამოებში მდინარის მარჯვენა ნაპირას ჩვენი სანგრები შევინარჩუნეთ. მდ. ალიუტის მარცხენა ნაპირას ჩვენმა ჯარმა არფუიუს და რადაციენიშტისაკენ დაიხია. კარგუჟიუსა და კარბეშტის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კოპაციოზის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა უკან დაიწია. ტარგუჟიუს სამხრეთით და მდ. ცრნის ველში მზვერავთა შეჯახება და ზარბაზნების სუსტი სროლაა.

დუნაის ნაპირებზე ზარბაზნების და და თოფების სროლაა. დობრუჯში ცვლილება არ მომხდარა.

ბუქარესტი. რუმინელების ოფიციალი ცნობა 4 გიორგობისთვისა. გუშინ მოლდავიის საზღვრებზე დაწყებული მოქმედება უამინდობის გამო, შევაჩერეთ. პრახოვის ველში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა და ქვეითა ჯარის მედგარი ბრძოლაა, განსაკუთრებით მდინარის მარცხენა ნაპირას. მტერი მოვიგერიეთ და ჩვენი ადგილები შევინარჩუნეთ. დრაგოსლავლის მიდამოებში ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა, ადგილ-ადგილ ხიშტებით ბრძოლაა. მტერი დიდის ზარალით მოვიგერიეთ. მდ. ალიუტის ველში მოპირდაპირემ ძლიერის ძალებით განაახლა შემოტევა და ჩვენი ჯარი იძულებულ ჰყო ცოტა უკან დაეხია ენციულეშტისაკენ. ჟიუს ველში ჩვენ ცოტათი უკან დავიწიეთ სტეფანეშტისაკენ. ცრნის ველში ზარბაზნების სუსტი სროლაა. ჩვენი ზარბაზნები მედგრად უშენდნენ ყუმბარებს ბაიბუტს და რუშჩუკს. დობრუჯში ცვლილება არ მომხდარა.

სოლუნი. სერბიელების ოფ. ცნობა. ჩვენმა სახელოვანმა ჯარმა იერიშით აიღო მაღლობი „1212“. მოპირდაპირემ ჩრდილოეთით დაიხია და ადგილობრივ დასტოვა ბევრი ტყვიისმრქვეველი, თოფი, სამხედრო მასალა, სურსათი და 50 ხელის ყუმბარა.

ლონდონი. საფრანგეთის ასპარეზზე გერმანელების 3 საფრენი ჩამოვაგდეთ, ხოლო გერმანელების ხაზზე 2. ჩვენ 3 საფრენი დაგვაკლდა.

ტოკიო. კუნძულ ჰავაისთან უმავთულო ტელეგრაფი მოვაწყეთ.

კოპენჰაგენი. „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი იტყობინება: პოლონელმა ჯარისკაცებმა უნდა დაიფიცონ ჯერ პოლონეთის ერთგულებაზე, მერე უნდა შეჰფიცონ ვილჰელმს, როგორც მთავარსარდალს და ბოლოს ვილჰელმსა და ფრანც-იოსებს, როგორც პოლონეთის სახელმწიფოს მოსარჩლეთ.

პეტროგრადი. სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგებად აირჩიეს: გრაფი ბობრინსკი 196 ხმით 76 წინააღმდეგ, ნეკრასოვი 156 ხმით 76 წინააღმდეგ. თავმჯდომარის მაგიერობას გასწევს ხოლმე გრაფი ბობრინსკი. მდივნის უფროსის ამხანაგად ერთხმად აირჩიეს რჟევსკი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბალტიის ზღვაში

როგორც უმაღლეს მთავარსარდლის შტაბმა თავის დროზე გადმოგვცა, 28 ღვინობისთვეს გერმანელების სწრაფ მავალი ნაღმოსნები ნისლიან ღამეს შემოიპარნენ ბალტიის ზღვაში, სახელდობრ ფინის ყურეში.

ამ თავდასხმის თაობაზე „დენ“-ის სამხედრო მიმომხილველი **ს. დმიტრიევი** სწერს: ოფიციალ ცნობები ხანდახან თუ გადმოგვცემს ბალტიის ზღვაზე სამხედრო მოქმედების ამბავს. ამ მოკლე ცნობებით ვტყობილობთ, თუ რა გამუდმებულ ფხიზელ დარაჯობას ეწევიან ჩვენი გემები ბალტიის ზღვაში მტრის გაცილებით უფრო ძლიერი ფლოტის სათვალთვალოდ.

ეს გაბედული თავდასხმა გერმანელებმა მოახდინეს მხოლოდ ეფექტის მოსახდენად, მათ არც დაზვერვა ჰქონიათ მიზნად, არც ნამდვილი ბრძოლა, რადგან ასეთი შემადგენლობით საბრძოლველად არ გადიან ხოლმე.

გერმანელების ნაღმოსნები საგანგებო მიზნისათვის არის შეწყობილი. მათი დანიშნულებაა, სისწრაფე, გამძლეობა და ნაღმების სროლა. მოკავშირეთა ნაღმოსნებთან შედარებით ზარბაზნებიც ნაკლები აქვს. ომის წინედ ასეთი ნაღმოსნები შეიარაღებული ჰქონდათ 88 მილიმეტ. ყალიბის ორ-ორი ტყვიის მფრქვეველით. ნაღმოსნებს მშვიდობიანობის დროს ნაღმების ჩაწყობასა და ნაღმების სროლაში ავარჯიშებდნენ. ამ დარგში უეჭველია ყველა ფლოტს გადააჭარბეს. გერმანულს ნაღმოსნებს ბაქანი სრულებით ცარიელი აქვთ, პროფილი ნაკლები, რადგანაც [illegible] და მძიმე ტვირთით არ არის დამძიმებული, მეტად სწრაფი მავალია. ამ ნაღმოსნებს ნაღმების გარდა სხვა არავითარი დიდი იარაღი არ გააჩნია მტრის სავნებად.

ბალტიის ზღვაში შემოჭრილის დროს მათი მიზანი დაზვერვა რომ ყოფილიყო, ნაღმოსნებს უსათუოდ თანახლდებოდა პატარა კრეისერები, ურომლისოდაც გერმანელები ნაღმოსნებს არსად ისტუმრებენ... ამისათვის საფიქრებელია, რომ ეს იყო მხოლოდ „გამონავარდება“ გერმანელების ნაღმოსნებისა ეფექტის მოსახდენად. შეიძლება იმედი ჰქონდათ, რომ შემთხვევით შეეჯახებოდნენ რომელიმე ჩვენს მებრძოლ გემს... გერმანელები ნაღმოსანს ისე უყურებენ, როგორც მანქანას, ან უბრალო ყუმბარას, ესკადრების შებმის დროს ნაღმოსნებს ისე იმეტებენ გერმანელები, როგორც უბრალო ყუმბარას, ხშირად ერთის შეხედვით, უმნიშვნელო მიზნისათვის, თუნდაც გამარჯვების იმედიც არა ჰქონდეთ, ოღონდ კი დრო მოიგონ რომელიმე მებრძოლი გემის ასამოქმედებლად.

ამისათვის ვფიქრობთ, რომ ფინის ყურეში მათი ნაღმოსნების შემოპარვა „ნისლიან ღამეში“ ერთგვარ ეფექტის მოსახდენად იყო მოწყობილი.

მთავრობის ცნობებიც ხომ ამას ადასტურებს: „ხშირი ნისლის გამო დროზე ვერ შევამჩნიეთ და მათი სისწრაფის გამო ვერ წამოვეწიეთო...“ ეს ნაღმოსნები, ოფიც. ცნობით, 36 კვანძიანი იყვნენ ესე იგი საათში გადიოდნენ 60 ვერსს. რამდენი ასეთი ნაღმოსნები აქვთ გერმანელებს, არ ვიცით, რადგანაც ეს ნაღმოსნები ომის ხანაშია დამზადებული. რამდენი გემი შემოიჭრა ფინის ყურეში? გერმანელები სამოქმედოთ ისტუმრებენ ხოლმე ფლოტილიას ან ნახევარ ფლოტილიას. ფლოტილიაში 11 ნაღმოსანია...

—

ამავე საგანს ეხება „ბირჟ. ვედ.“-ის სამხედრო მიმომხილველი ქ. შუმსკი და სწერს: მთავრობის ცნობით, ფინის ყურეში 28 ღვინობისთვეს ღამე შემოიჭრა გერმანელების ფლოტილია 60 ვერსის სისწრაფისა საათში (36 კვანძიანი). ბალტიის ნავთსადგურს ასიოდე ყუმბარა ესროლეს, მოჰკლეს და დასჭრეს 12 კაცი და 12 ცხენი.

ასეთივე მოულოდნელი თავდასხმა მოახდინეს გერმანელების ნაღმოსნებმა 13 ღვინობისთვეს ღამე ლამანში. იქ მონაწილეობას ღებულობდა 10 ნაღმოსანი.

ლამანშშიაც და ბალტიის ზღვაშიაც გერმანელების ნაღმოსნები 62 ათასი ფუთის მზიდველია და საათში 60 ვერსის სისწრაფის იყო.

გერმანელები გადამწყვეტ საზღვაო ბრძოლისათვის ემზადებიან და ომის დაწყებიდანვე ზოგიერთი გავლენიანი პირი მოითხოვდა გერმანელებს გაემეორებინათ პორტ-არტურის მსგავსი თავდასხმა, რომელიც მოხდა რუსეთ-იაპონიის დროს 1904 წ. 26 იანვარს,

ფეხი იბრუნა

(მოთხრობა) *)

ესე ლა დაგვრჩა სანაცვლოდ
იმ იმედისა დიდისა.

12.

— ძალიან კარგი ქალი გყოლია, ჩემო პორფირე, მშვენიერი, ჯანსაღი, გალაღანებული. აი ეს შეხვდება იმედინად ცხოვრების ცვალებადობას და არა ჩვენი ქალაქის ქალები, ნერვებ აშლილნი, მისუსტებულნი, განადგურებულ აგებულობისანნი. სწორედ ველის ყვავილია საამოდ გარდაშლილი! შეაქო ქალი პეტრემ.

ამ ქებაზედ იგი ველის ყვავილი უფრო შეწითლდა და მეტად სანდომი გახდა, მიმზიდველი. ლადიკოს მთლად აუღელვა ქვენა გრძნობები და ისეთი თვალით შეხედა მან ფეფიკოს, რომ ყველას აგრძნობინა, მართალს ამბობს მამა ჩემი, კიდევ მეტი ხოტბის ღირსიაო ეს ნორჩი ქმნილება.

— თქვენი ვაჟიც მშვენიერი ვაჟკაცი დამდგარა, შევსილა, შემკულა, აღორძინებულა. ყოველ მხრივ ბედნიერი ადამიანი ბრძანდები, პეტრე იოსების ძევ, და ბედნიერი მამაც შექმნილხარ. კიდევ დასრულებულა მას აქეთ, რაც ბოლოსა გნახეთ, ბრგე შეხედულობა მიუღია. სწორედ კარგი ქართველი გამოგიზრდია! მიუზლო პორფირემ.

ხოლო ეს კარგი ქართველი შვინდის ფერ ტალავარში გამოწყობილი შოთასებური ქუდით კოხორზედ, მარცხენა ხელით მსუბუქად დაჰყრდნობოდა შევერცხლილ ხანჯლის ტარს, ყაფალიან თეთრ წაღაში გამოკვართული მარჯვენა ფეხი ოდნავ წინ წაედგა და იდგა საამოდ ყელმოღერებული. შესწავლილი ჰქონდა მას ეს დგომა: იგი სცენაზედ უფრო ხშირად უსიტყვო როლსა თამაშობდა ხოლმე, როცა მხოლოდ ადგილის დაჭერა სჭირდებოდა და ლაზათიანად გამოჩენება. ერთი ამ დგომათაგანი გაიხსენა ეხლა მან, რომ მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა მასპინძლის ქალზედ, რომელიც ესე ძლიერ სანდომი ეჩვენა გალეშილს და მადლიანად ხელჩასაკიდი. ტანთსაცმელიც თეატრული ეცვა ლადიკოს. მან ის საკუთარის ხარჯით შეიძინა, როდესაც ბანქოში ქარი უქროდა, საუკეთესო თერძს შეაკერვინა. ვერცხლის ქამარი სალტასავით მჭიდროდ შემორტყმოდა მის წერწეტ წელს, მუჭაში რომ დაიჭირებოდა, ისეთს წვრილს.

მოეწონა ფეფიკოს ეს ჭაბუკი, ახ, ძლიერ მოეწონა, გულში დარდად ჩაუვარდა პირველსავე ნახვაზედ! სცდილობდა ქალი არაფრით შეემჩნევინებინა ეს თვისი გრძნობა არც შინაურებისათვის, არც, მით უფრო, მოსულებისათვის, მაგრამ ამაოდ: შუბი ტომარაში არ იმალებოდა, ხან საით გამოჰყოფდა იგი წვერს, ხან საით; ამას თითონვე ამჩნევდა ფეფიკო და ღელავდა, ხოლო იგი ღელვა უფრორე სანდომადა ჰხდიდა მის ნორჩ ტანს.

მწუხრად ჩაიარა სადილმა. მზე უკვე გადიხარა, როცა გაათავეს შექცევა. პეტრეს ეშინოდა, ლადიკომ მეტი არ დალიოს და თავისი მარიფათები არ გაშალოსო, ახირებული ზნეჩვეულებები არ გადმოფინოსო ამ უცხო ხალხში. არ გაუმართლდა შიში: თავი შეიმაგრა ჭაბუკმა, რადგან დაასკვნა უსათუოდ თავი მოეწონებინა ყველასათვის და მეტადრე ახლად გაცნობილ ქალწულისათვის, რომ აეღელვებინა მისი გრძნობები და გაეტაცნა იგი. მხოლოდ ერთხელ ოდნივ აერია ლადიკოს ნაბიჯი და ვერ შეიმაგრა თავი. არც შეეძლო თავი შეეკავებინა: ბალღობიდანვე მისი გატაცება იყო ეს, მისგან ყოვლადუძლეველი სურვილი, ჟინიანობა შეუმართებელი.

— რა ქმნა ისეთი?

— მაგდენი არაფერი. ეხლავე!

ელიას საყდარს კარგი სამრეკლო ედგა, ძველ კოშკზედ ჰაზრიანად დაშენებული, მკვიდრი და მაღ ლი. ზარები შესწირა ეკლესიის გამდიდრებულმა ბედიაურმა, რომ მისი ხელგამამავლობისა და ქველმოქმედების ხმა იმ მაღალ შენობიდან ჟღრიალწკრიალით მოეფინოდა სოფელს, ხეობას, მთელ იმ მხარეს და თვით ღვთის ყურამდიდაც კი აწვდომოდა მაღლა, ზეცაში. რახან ეკლესიის დღეობა იყო, ყველას ნება ჰქონდა ზარები განუწყვეტლად ერეკა, როგორც აღდგომას. ლადიკომ მიაქცია ყურადღება ზართა რეკას და აღტაცება დაეტყო თვალებში, ხელები ჰქავდა, მოუთმენლად მოესურვა ასულიყო სამრეკლოზედ და ემცნო ყველასათვის, როგორ უნდოდა ნამდვილ შეთანხმებით აყოლება ზარებისა.

— მე რომ ზარებს ავაყოლებ, მთელი მუსიკა მოისმის მათ ხმებში, ოღონდ კი თანისთანობით იყვნენ დალოცვილები შეწყობილნი! იტყოდა იგი თავმომწონეთ.

და ვერც ერთ მარჯვე შემთხვევას ვერ გაუშვებდა, რომ არ დაეკმაყოფილებინა ეს თავისი ჟინი, ვინ იცის რომელი შორეული წინაპრისაგან ხანგრძლივი ვარჯიშობით დამუშავებული და შესისხლ-ხორცებული ხელოვნება, რომელიც საიდუმლო რამ გზებით გადმოსცემოდა დიდებულ პეტრეს ძეს ლადიკოს. პატარაობითვე შეაჩნდა მას ეს ნიჭი და იმავ თავითვე ავარჯიშებდა მას: ძალიან ახლო იყო მათ სახლზედ ეკლესია. როცა შემდეგში ლადიკოს სამრეკლოზედ დაინახამდნენ მცნობნი, გატაცებით, რომ მუშაობდა ხელებით თუ ფეხით, იტყოდნენ:

— ცხოვრების მაღალ საფეხურისათვის მიუღწევია საიმედო ჭაბუკს!

ამითი ის უნდოდათ გაეხსენებინათ ერთმანეთისათვის, რომ მის პატარობისას დედმამაც და ნაცნობ-ნათესავნიც მაღალ საფეხურს უქადდენ მას ცხოვრების სავალზედ, როგორც ნიჭიერ ბალღს და გავლენიან დედ-მამიშვილს. ეხლაც, რომ გაიგონა შეზარხოშებულმა ლადიკომ უცოდინარი მრეკავისაგან არეულ-დარეული ხმიანობა ზარებისა, ველარ შეიმაგრა თავი და თვალის დახამხამებაზედ თავს მოექცა კოშკს. ბარემ ნახევარი საათი რეკავდა და სცდილობდა საამოდ აელაპარაკებინა იგი ზარები სუფრაზედ მსხდომთ სმენის დასატკობად, მეტადრე კი ფეფიკოს გულის გასაღებად; ქალწული, რომ კარგი რამ იყო, ალბათ გემოვნებაც იმდენად ამაღლებული ექნებოდა, რომ გაერჩია ამ ხმებში ციური ჰანგები და გუნება გაჰშუქებოდა. მშობლებს არ უამათ შვილის ეს მოძრაობა. სხვებმა შეატყეს ეს და სდუმდნენ, ცდილობდნენ არ მიექციათ ყურადღება მის მოქმედებისათვის. როცა აღარ მოეშვა კაცი ზარებს, პეტრემ ველარ მოითმინა და ბოდიში მოსთხოვა შვილს:

— ყველასა სჯობს რაიმე თავისებური ჟინიანობა; ლადიკოსაც უყვარს ესეთი გართობა, თუმცა კი აღარ შეეფერება.

— რატომ? აქ საზარალო და საძრახისი არაფერია არც მისთვის, არც სხვისთვის.

— სასიამოვნოა ღვთისთვის და საამო ხალხისათვის ამისთანა გულმოდგინება, დასძინა ზარების შემწირველმა.

რადგან ასიამოვნა იგი მისგან მიტანილ ზარების განგაშმა და მაღალხმიანობამ, გული მოჰფხანა მას. დაუბრუნდა სუფრას ლადიკო, გამარჯვებული თვალებს აელვარებდა, ეგონა შეაქებდნენ მის გარჯას, მაგრამ როცა ნახა, რომ ყურადღებას არავინ აქცევდა, იგრძნო თვისი უხერხულობა და გაინაბა, ისე დაიჭირა თავი, თითქო არაფერი მომხდარაო. ის კი იყო, რომ სამრეკლოზედ აძრომის დროს კირით გაგანგლულიყო და ბიჭს მოუნდა მისი ქუდისა თუ ტალავარის წმედა. ესეც არა სასიამოვნოდ დარჩათ მის მშობლებს და სხვებსაც.

მაგრამ მეჯლიშში იყო ისეთი ვაჟიც, რომელსაც ერთს წამს თითქო გული გაუღო ლადიკოს ამ მცირედმა მარცხმა. ეს ბედიაურის შვილი მახარე. საპატიო სტუმარი იყო იგი პორფირეს სუფრაზედ, მაგრამ არ ეკარებოდა მას არავითარი მხიარულება; პირში ლუკმა უმწარდებოდა; იგი დღესასწაული მას თავის დამღუპველ დღედ დაჰსახოდა. დიდის სიხარულით მოჰშორდებოდა შექცევას, წავიდოდა იქიდან, რამდენჯერმე კიდეც დააპირა ადგომა, მაგრამ ვერ შესძლო, ვერ სძლია თავი: გაეტაცნა ის თავის საკუთარი ტანჯვის განცდას, ერთგვარ სიამესა გრძნობდა ამ სასტიკი წამების გაღრმავებაში და სიმწარის ძირამდის ამოწურვაში. მისი საშინელი წამება იქიდან წარმომდინარებდა, რომ უიმედოდ იყო შეყვარებული, ხოლო მის ტრფობის საგანს ფეფიკოს გული აეყარნა მასზედ, სულ სხვა მხარეს იყურებოდნენ მის შავი თვალები.

ადრიდგანვე მოსწონდა ქალი მახარეს. დაინახამდა ეხლა ფეფიკოს მკვიდრად ნაგებ ტანს და ველარ წარმოიდგენდა, თუ მადლიან გამჩენელს უკეთესი ნაქვთის შექმნა შეეძლო ამ ნოყიერ ქვეყანაში; მოჰკრავდა ყურს ქალის მტკიცე სვლას, მის ფერხთა ძაგძაგს და უკეთესი ხმა შეწყობილი ბგერა ველარ წარმოედგინა მის სმენას მოხიბლულს; წითელი რანე ვერ დაენახა ისე, რომ ფეფიკოს თურაშაული ლოყები არ დაჰხროდნენ თვალთ წინ, მზის პირის ვაშლთაებრ დაბროწილ-ჩაკვრივებულნი- კარგი ვაჟი იყო მახარე, მდიდარი. მისი მამული მომიჯნავე იყო პორფირეს მამულისა. თვის სიმცროს დიდი მეგობარი იყო ფეფიკოსი, მისთვის ტიკინებისა და მათ ხელსაწყოს და ავეჯის გამომთლელ-გამომჭრელი. შემდეგში, როცა ქალმა ოთხი კლასი დაასრულა, მახარე კი მხოლოდ სოფლის სკოლაში იყო ნასწავლი და სოფლურ ცხოვრებას ეწეოდა, ქალმა იუკადრისა ის, აღარ მიიღო თვის ტოლად თუ სწორად; ხოლო როცა შენიშნა, როგორი შეყვარებულის თვალით დაუწყო ჭაბუკმა მას მზერა, სულაც ჩამოჰშორდა მას, მთლად მოერიდა.

— რად მინდა გავყვე განუვითარებელ კაცს და სოფლური ცხოვრება დავიწყო, როგორც ვინმე გლეხის გოგომ. მდიდარიაო მახარე. რა ვუყოთ, რომ მდიდარია?! მაინც სოფლელია,

---

*) იხ. „საქართველო“ № 240

ე. ი. ომის გამოცხადებამდე მოულოდნელად თავდასხმა ინგლისის ფლოტზე და მისი ანაზდეული შემუსვრა. ეს იქნებოდა საერთაშორისო უფლების დარღვევა, მაგრამ გერმანეთს საშუალებას მისცემდა ინგლისის საზღვაო ძალას თითქმის გასთანაბრებოდა. რადგანაც ომის დასაწყისშივე გერმანელებმა ეს ვერ მოახერხეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ასეთს მოულოდნელ გალაშქრებას მუდამ შეეცდებიან, რათა მოპირდაპირეს თითო-თითოობით ხელიდან გამოაცალონ საზღვაო ბრძოლის ძლიერი იარაღი და მოსალოდნელი გადამწყვეტი საზღვაო ბრძოლა გაიადვილონ.

რუმინეთი.

რუმინეთის ასპარეზზე ბრძოლა დაუცხრომლად ვითარდება. დობრუჯის და ტრანსილვანიის ასპარეზზე მოქმედება ერთი-მეორის შეფარდებით სწარმოებს. უკანასკნელ დროს ცხარე ბრძოლა იყო მდ. ოიტუზის ველში და ორშოვოსთან. ამის თაობაზე „დენ“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს:

მდ. ოიტუზის ველსა და ორშოვოსთან ავსტრიელების შემოტევა იმის მომასწავებელია, რომ ჩერნოვოდ-კონსტანცის ხაზის დაპყრობის შემდეგ ბულგარელების სამზადისი დუნაის გადასალახავად უკვე დასრულებულა...

უფრო საგულისხმოა ოიტუზში ავსტრიელების შეტევა. ფოკშანის ველის მნიშვნელობაზე ერთხელ უკვე ვწერდით. ეხლა ავსტრიელების შემოტევა ამ გზით დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა. ონეშტისაკენ გზის გაკაფვით, სადაც მდ. ოიტუზი მდ. ტროტუას ერთვის, ავსტრიელებს ჰსურთ ტროტუშის ხეობაში ფეხმომაგრებული რუმინელები დასძრან, თუ არ უნდათ რომ მტერმა გზები მოუჭრან. თუმცამა ამ ამბავს, მაინცა და მაინც, ასე სწრაფად არ უნდა ველოდეთ. გერმანელებს იმედი არა ჰქონდათ, თუ რუმინეთში ასე გაუჭიანურდებოდათ საქმე. მათის ვარაუდით რუმინეთშიაც ერთის დაკვრით უნდა მოეთავებინათ საქმე, როგორც სერბეთში... აქ ყოველს ნაბიჯზე ბრკოლდება მოპირდაპირე, რადგანაც ცოცხალი ძალა ნაკლებად გააჩნია და ხან ტრატუშიდან ქიუს მხარეს გადაჰყავს, ქიუს მხრიდან ოიტუზში, ოიტუზიდან არგისში და სხვა, რათა მთლიანი შეტევა აწარმოვოს.

ამერიკა და გერმანეთი.

ამერიკა თავს იქებს თვის ნეიტრალობით. თუ რაში მდგომარეობს ეს ნეიტრალობა, ჩანს იქიდან, რომ ზღვაზე, თურმე, ამერიკელები ოდნავაც არ უშლიან გერმანელებს, როდესაც ესენი ინგლისელთა გემებს ჰლუპავენ. ამერიკის სანაპიროებზე, მაგალითად, ფრიად დამახასიათებელი ამბავი მომხდარა. გერმანელთა წყალქვეშას გაუჩერებია ინგლისელთა გემი „სტეფან“-ი ის იყო უნდა ნალმი ესროლა, რომ მათ შენიშნეს ამერიკელთა ორი კონტრ-ნალმოსანი. გერმანელებმა ანიშნეს, ჩამოგვეცალეთ, გემი უნდა დავღუპოთო. ამათაც თხოვნა შეუსრულეს და ინგლისელთა გემიც დაღუპულ იქმნა. როდესაც წყალქვეშა ჩაყურყუმელავდა, მხოლოდ მაშინ დაბრუნდნენ ამერიკელთა ნალმოსნები და მეზღვაურთა გადარჩენას მიჰყვეს ხელი. ამნაირად, „ნეიტრალ“ ქვეყნის სამხედრო გემებმა ასე მშვენივრად შეასრულეს უკანონო მოთხოვნილებანი გერმანელთა მოთარეშე მეკობრეებისა, „სტეფანი“ არ ყოფილა პირველი გემი. ასეთის საშუალებით გერმანელთ მრავალი სავაჭრო გემი ჩაულუპნიათ. 8 ღვინობისთვეს ამავე მეკობრეებმა ჩასძირეს რვა უდიდესი გემი, მაშინაც მეზღვაურთა მეტი ნაწილი ამერიკელმა გემებმა გადაარჩინეს. უეჭველია, მაშინაც ათასი კაცის დაღუპვა ამ „ნეიტრალებმა“ ადვილად შეიწყნარეს შეომართა ნიშნით, ამერიკელთა მთავრობა ყოველისფერს სთმობს, სთმობს თვით თვისიანების სიცოცხლესაც კი, დღითი დღე გაცილებით ნაკლებს ითხოვს გერმანეთისგან პასუხს, ვიდრე წინად.

უკანასკნელი ცნობები

რუმინული გაზეთი „უნივერსალი“ (მხოფლიო) აღნიშნავს, რომ მტერს უპირატესობა აქვს არტილერიასა და ტეხნიკურს მომზადებაში. სამაგიეროდ, რუმინელებს უკეთესი ქვეითა ჯარი ჰყავთ. ხელჩართულ ბრძოლაში რუმინელები თითქმის ყოველთვის უკუაქცევენ ხოლმე გერმანელებს.

რუსმა გენერალ-გუბერნატორმა ავსტრო-უნგრეთის ოლქისამ, რომელიც ომის ძალით არის დაჭერილი, მაზრის უფროსებს უწყება დაუგზავნა, რომ ნებადართულია ხკოლების გახსნა; სწავლება შეიძლება გერმანულისა და ებრაულის გარდა ყველა ენაზე სწარმოებდეს.

გერმანეთში დაიწყო თავგამოდებული მუშაობა ჯარის ზურგის გასამტკიცებლად: დაპყრობილი ადგილებიდან მუშა ხელი მიჰყავთ, ადგენენ სავალდებულო შრომის პროექტებს და სხ. გენერალ გრენერს დაევალა შეადგინოს შრომის არმია ჯერ ნებაყოფლობით და შემდეგ, თუ საჭირო იქმნა, იძულებით. ამ მიზნით სახელმწიფო საბჭოსა და რეიხსტაგს წარედგინა კანონ-პროექტი, რომლის ძალით შრომა სავალდებულო უნდა იქმნეს ყველა მამაკაცისთვის 60 წლამდე.

გერმანელი სოციალისტები ბოლო დროს მეტის მეტად „მოშინაურდნენ“. სოციალისტური კოოპერატივების ერთი გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მისი რედაქტორი მიულერი რეიხსტაგის სხდომის დროს სახურსათო დირექტორის შატოცკის გვერდით იჯდა მინისტრების სკამზე ეხლა კი მიულერს ისიც ეღირსა, რომ იმპერატორმა ვილჰელმა მას ხანგრძლივად ელაპარაკა სამხედრო-სახურსათო კომიტეტის მიღების დროს.

სოციალდემოკრატიული „ფორვერცი“ სწერს: რომ გერმანეთს სრულიადაც არა სურს სერბიის სამეფოს მოსპობა. არც ერთი გერმანელი ერთს დღესაც არ იომებს იმისთვის, რომ ავსტრო-უნგრეთის ჭრელ მონარქიას კიდევ რამოდენიმე მილიონი სლავი შეემატოსო. ლიბერალური „ბერლინერ ტაგებლატი“ ეთანხმება „ფორვერცს“, პანგერმანისტი რავენტლოვი კი თავის გაზეთში სწერს, რომ ლიბერალური და სოციალდემოკრატიულ ორგანოებს, როგორცა სჩანს, ავიწყდებათ ბულგარეთის ინტერესები. ბულგარეთი ომში თანამემამულეთა განსათავისუფლებლად ჩაერია. ეს კი შეუძლებელია სერბიის სამეფოს დაურღვევლად. შუა ევროპიული კავშირი წარმოუდგენელია ბერლინ-სოფია-კონსტანტინეპოლის გზის გარეშე, გერმანეთის ინტერესებიც მოითხოვს, რომ ბულგარეთს პირველობა შერჩეს ბალკანეთში.

ავსტრიამ და გერმანეთმა, მადლობის ნიშნად, დობრუჯი ბულგარეთს მიუძღვნეს. ბულგარეთმა უკვე დობრუჯი თავის საკუთრებად გამოაცხადა, ოსმალეთს დაჰპირდნენ თესალონიკეს საზღვრების გასწორებას.

აღმოსავლეთის არმია სერბიელების მონასტირში შევიდა.

მთაშავეთის მეფის უმცროსი შვილი მირკო ვენაში იმყოფება; როგორც ამბობენ, ავად გამხდარა.

სათათბიროს კულუარებში გაცხარებული მსჯელობაა იმის შესახებ, რომ ზოგიერთი დეპუტატი სათათბიროში სიტყვის წარმოთქმის გამო სამართალში მისცენ.

დეპეშა

(საკუთ. კორესპონდენტ.)

ქობულეთი. მთელი საზოგადოება სთხოვს ექიმს ს. ზენაშვილს, იშუამდგომლოს ქარ. საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე, საავადმყოფო ქობულეთიდან არ გადაიტანონ.

ხოჯა ცივცივაძე

სიღნაღი. ს. ჯუგაანში არსდება საგრონომიო პუნქტი. თამბაქოს ფასი თ 6 და თან იწევს. მოვიდნენ უცხო მყიდველები—პეტროგრადის საექსპორტო წარმომადგენლები. სიღნაღის მაზრაში ნავთი არ იშოვება.

ნ.

ახალი ამბავი

სასახლეში

◆ **მეფის ნაცვლის დაბადების** დღეს 6 გიორგობისთვეს სასახლის ეკლესიაში და სამხედრო ტაძარში საქართველოს ეგზარხოსის მიერ გადახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი. ქალაქი დღისით ალმებით იყო მორთული, ხოლო საღამოთი გაჩირაღდნებული.

ქართული დაწესებულებანი.

◆ **სახალხო სკოლა და საპროფესიონალო განათლება.** კვირას, 13 გიორგობისთვეს, საღამოს 7 საათზე, სასოფლო სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია ქართულ კულტურულ-განმანათლებელ კავშირის გამგეობისა, ადგილობრივ საზოგადოებების გამგეობათა და კერძო პირთა შეერთებული კრება. კრებაზე გაიმართება კამათი ბ-ნ ლ. ბოცვაძის მიერ წაკითხულ რეფერატის შესახებ შემდეგ თემაზე: „სახალხო სკოლა და პროფესიონალური განათლება“. ამ მოხსენების თეზისები ქართულ გაზეთებშიაც დაბეჭდილი იყო.

◆ **ბათომის რაიონის განყოფილების** ქ. საქვ. საზ. მთავარ გამგეობამ გაუგზავნა ყველა ხარჯ-აღრიცხვა ტატიანის კომიტეტს, რომელიც გადაეცა სენატორ ჩაპლინს. საავადმყოფოს გადატანის შესახებ აცნობა, რომ მიღებულია ზომები, ჯერჯერობით კი ძველებურად უნდა აწარმოვოთ საქმეო.

◆ **ახალი ბანკი.** თბილისში უტყუარი ცნობა მოვიდა პეტროგრადიდან, რომ ფინანსთა მინისტრმა ამიერ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის წესდება დაამტკიცაო. ამის გამო კვირას, 6 ამა თვეს, შეიკრიბა ამ ბანკის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი და დაადგინა: 1) შეეკრას პირობით თავად-აზნაურთა ბანკის გამგეობას იმის შესახებ, რომ ამ ბანკის ახალ შენობის ზედა-სართული ქირით აილოს ახალ ბანკის მოსათავსებლად; 2) ეხლავე გადაიტანოს ამ შენობაში ბუჰგალტერია და შეიძინოს კასა და ყოველგვარი ნივთები ახალი ბინის მოსაწყობად. ამ საქმის მოსაწესრიგებლად არჩეულ იქმნა კომისია, რომელშიაც შედიან: პ. ა. გოთუა, ს. ი. ფურაქაშვილი, ა. გ. ფირალაშვილი, ლავ. მ. დ. ჭავჭავაძე და ნ. ე. წვერავა. 1 თვის განმავლობაში კომიტეტი მოიწვევს აქციონერთა კრებას საბჭოს წევრების ასარჩევად, ხოლო საბჭო შემდეგ აირჩევს გამგეობას.

მთავრობის დაწესებულებანი

◆ **ბრინჯის გაზიდვის აკრძალვა.** მეფის ნაცვლის მოადგილემ ინჟ. გენ. ნ. ნ. იანუშკევიჩმა სავალდებულო დადგენილება გამოსცა ბაქოდან ბრინჯის გაზიდვის შესახებ. თანახმად ამ დადგენილებისა, ბაქოს ქალაქის უფროსის ნებადაურთველად პირველ ხარისხის ბრინჯის გაზიდვა კერძო პირთ ბაქოდან აკრძალული აქვთ, ვინაიდან მიწად-მოქმედების რწმუნებულმა უნდა მოაწყოს ბრინჯის შეგროვება ჯარისათვის. დამნაშავეთ 3000 მან. ჯარიმა ან 3 თვე ციხე მიესჯებათ.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **იროდიონ ევდოშვილის** (ხოსიტაშვილის) გარდაცვალების 6 თვის თავზე, კვირას, 6 ამა თვეს, დიდუბის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და შემდეგ განსვენებულის საფლავზე პანაშვიდი განსვენებულ მგოსნის მოსახსენებლად.

◆ **ახალგაზდა მგოსანი, ვეფხოფშაველა,** ამ მოკლე ხანში, სახალხო სახლში გამართავს ფრიად საყურადღებო სამხატვრო-სალიტერატურო-სამუსიკო დილას, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ მრავალი ქართველი მწერლები. დილას ოთხი განყოფილება ექმნება: ლექცია, ცოცხალი სურათები, წარმოდგენა და სალიტერატურო-სამუსიკო განყოფილება. შემოსავლის ნაწილი მოხმარდება ქართული თეატრის სააღმაშენებლო ფონდს.

◆ **საყმაწვილო ჟურნალი.** დაიბეჭდა და გამოვიდა ღვინობისთვის მორიგი ნომერი საყმაწვილო ნახატებიან ჟურნალის „ჯეჯილისა“. ჟურნალი სუფთად და კარგს ქაღალდზეა დაბეჭდილი. ჟურნალში მოთავსებულია ხუთმეტამდე სხვა და სხვა ხასიათის წერილი და ლექსები. სხვათა შორის დაბეჭდილია შიო მღვიმელის ლექსი „ნაზია და წკიპა“, რომელსაც დიდის ხალისით დაეწაფებიან პაწია მკითხველები.

◆ **თავ. დ. ო. ნიჟარაძე,** დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა მარშალი, პეტროგრადიდან თბილისს ჩამოვიდა და „კავკაზის“ სასტუმროში გაჩერდა.

◆ **„ახალ კლუბის“** წევრთა საგანგებო კრება კვირას, 6 გიორგობისთვეს შესდგა. კრება მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარემ თ-დ მიხეილ დავითისძე ჭავჭავაძემ გახსნა და წინადადება მისცა აერჩიათ თავმჯდომარე და მდივანი. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პ. ა. გოთუა, ხოლო მდივნად ა. მ. ახნაზაროვი. კრებას უპირველეს ყოვლისა მოხსენდა კლუბის შემოსავალ-გასავლის ანგარიში უკანასკნელ 10 თვის განმავლობაში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, კლუბს შემოსვლია ამ ათ თვეში 187,765 მან. 26 კ. დაუხარჯავს 134,108 მან. 08 კ. წმინდა მოგება დარჩენია 53,657 მან. 18 კ. შემდეგ მოხსენდა კრებას მამასახლისთა საბჭოს მოხსენება კლუბის მდგომარეობის შესახებ. როგორც ამ მოხსენებიდანა სჩანს, ახალი კლუბის მდგომარეობა მკიცე და ნორმალურ პირობებშია ჩაყენებული, ასე რომ არავითარი ზარალი და შიში მის საარსებოდ მოსალოდნელი არ არისო. პირიქით, დღითი-დღე ზრდა და წარმატება ემჩნევა კლუბს. საგულისხმიეროა აღინიშნოს ის სასიამოვნო ფაქტიცა, რომ კლუბს ათი თვის განმავლობაში შემოსვლია პროცენტების სახით, ქართულ თეატრის აღსადგენად 13,041 მან. 6 კაპ. კრებამ დაამტკიცა დამატებითი ხარჯი 26,300 მან., რომელიც კლუბს მომავალ წლის 1 იანვრამდე სჭირია და აგრეთვე გადამეტებული ხარჯი 10,346 მან. 43 კ. კრებამვე დაადგინა მიეცეს კლუბის ორკესტრის დაავადებულ მუსიკოს ბ. განზეს ერთდროული დახმარება 300 მან. და კლუბის ბუხგალტერს ა. გ. კორძაიას, რომელიც ჯარში მიდის, ექვსი თვის ჯამაგირი ნამსახურობისათვის. მამასახლისთა საბჭოს თავმჯდომარე თ-დ მ. დ. ჭავჭავაძემ მოახსენა კრებას, რომ ჩვენი სასიქადულო ქართველი მებრძოლი რაზმი ბრძოლის ველზე მიდის და ჩვენ მოვალენი ვართ გზა დაულოცოთ. კრებამ დაადგინა გაუმართოს ნადიმი ახალ კლუბის დარბაზში გამგზავრების წინ. დასასრულ კრებისა მოხდა არჩევნები 4 ახალ წევრისა და მუდმივ მოსიარულეთა, რომელნიც ყველა მიღებულ იქმნენ. კრების გაგრძელება გადიდო მომავალ კვირისათვის.

◆ **ბ-ნს აკაკი ხოშტარიას** ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის საფიზიკო კაბინეტის მოსაწყობად 5000 მან. შეუწირავს.

◆ **ქუთაისში** ცნობილ პედაგოგს კ. მკურნალს გაუხსნია კერძო სავაჟო სასწავლებელი 4 კლასიან გიმნაზიის კურსითა. გამგედ მოწვეულია ბ-ნი ალ. მგალობლიშვილი.

◆ **ოდესის უნივერსიტეტში** სწავლა დაუმთავრებიათ: ვას. მეგენეიშვილსა და ქრ. რაჭველიშვილს—საისტორიო-საფილოლოგიო ფაკულტეტი, ალ. ბადაშვილსა—იურიდიული ნაწილი.

◆ **მორიგი კრება.** 10 ამა თვეს კრება ექნება ჯარის კაცთა ოჯახების დამხმარე ქალაქის კომიტეტს. სხვათა შორის, განსახილველია კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ ათაბეგოვის პროექტი შესახებ ულუფის ფულის გადიდებისა 6 მან. 60 კაპიკიდან 7 მან. 50 კაპიკამდე.

◆ **ქალაქის სასაკლაოს დირექტორმა** მოხსენება წარმოუდგინა ქალაქის გამგეობას შენობის აგების შესახებ სასაკლაოზე ნედლი ტყავების დასაწყობად. ამ შენობისათვის საჭიროა 43.000 მანეთი. გამგეობამ საჭიროდ სცნო მოხსენების შეწყნარება.

◆ **სასურსათო საკითხი.** თბილისში მიღებულ ცნობათა მიხედვით, უწყებათა შორის ერთი მეორესთან ცილობა ხალხისათვის სურსათის შეძენის და მიწოდების თაობაზე დამთავრებულა. სურსათ-სანოვაგის შეძენა დაკისრებული აქვს მიწად-მოქმედების სამინისტროს, ხოლო განაწილება სურსათისა ნაკისრები აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

◆ **ქართული ეკლესია.** ხუთშაბათს, 10 ამა თვეს, გიორგობა დღეს, საქართველოს ეგზარხოსი მაღალყოვლად სამღვდელო პლატონი სწირავს ქვაშვეთის ეკლესიაში.

დ. ახალ-ციხე.

სამშაბათს, 1 გიორგობისთვეს, საღამოს 5 საათზე შემდეგ უბედურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფე აბულაძე ათამაშებდა რევოლვერს. შიგ ერთი უვარგისი პატრონა ყოფილა. რამოდენიმე ჯერ უცდია რევოლვერი, მაგრამ არ გავარდნილა. ამიტომ ხუმრობით დაუმიზნებია იქვე მდგარ მეოთხე კლასის მოწაფე კიკიანისათვის. რევოლვერის ტყვია გავარდნილა და უკანასკნელს მარცხენა ძუძუში მოხვედრია. კიკიანს იმ წამსვე განუტევებია სული. მკვლელი, გამოძიებისა და რამოდენიმე დღის დაპატიმრების შემდეგ, ჭირისუფლებს გადასცეს.

ჭიათურა.

ფრინველების ჭირი. შინაურ ფრინველების ჭირმა ეპიდემიური ხასიათი მიიღო. მოედო მთელ ჭიათურის რაიონს და მუსრი გაავლო: ქათმებს, იხვებს, ბატებს და ინდაურებს. საშინელ სურათს წარმოადგენს დასუქებულ-დახოცილი ფრინველები, კალოსებ ერთ ალაგას მოგროვილი. ისედაც ათასგვარად დასჯილ ხალხს ასეთი საშინელი ჭირიც მოევლინა და მშრალზე დასვა. სოფლელებმა დაბას მოაშურეს, რომ მოეშორებინათ ჭირიანი ფრინველები. ამრიგათ ხელი შეუწყვეს ჭირის გავრცელებას. ფრინველები სრულებით არ ავადმყოფობენ ისე, უცბად იხოცებიან. ზოგიერთებმა დახოცილი ფრინველებით ისარგებლეს და ფრინველის ქონისაგან საპონი მოადუღეს.

თევდორე ჟორდანიას განსვენება

სამძიმრის დეპეშები

ზუგდიდი. წ.-კ. გ. საზოგადოების განყოფილება სტირის სამშობლო ისტორიისა და არქეოლოგიის სახელოვან მკვლევარის თევდორე ჟორდანიას სიკვდილს. პანაშვიდი გადავიხადეთ.

გამგეობა.

ზესტაფონი. ზესტაფონის საეკლესიო სასწავლებელი ჰგლოვობს მხცოვან მასწავლებლის და სამშობლოს ისტორიის მკვლევარის ჟორდანიას გარდაცვალებას.

ვ. კელენჯერიძე.

მოსკოვი. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლე ქართველთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების გამგეობა დიდათ დაამწუხრა ისტორიკოს თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებამ.

გამგეობა.

ზუგდიდი: ზუგდიდის კერძო გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია დიდათ ჰგლოვობს სამშობლო ქვეყნის ისტორიკოსის თევდორე ჟორდანიას გარდაცვალებას.

მელქისედეკ კობახიძე.

სიტყვა,

თქმული თ. ჟორდანიას დასაფლავებაზე დიდუბეში, დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის მიერ.

ჩვენო კეთილო აღმზრდელო, გონიერო მასწავლებელო, ჩვენო ძვირფასო „თედო“!

გამოვითხოვ ნებას შენის ცხედარის წინაშე, მოგმართო ამ უბრალო მომართვით ისე, როგორც ჩვენ, შენი მოწაფენი, ჩვეულნი ვიყავით ამ ოცი, ოცდა ათი წლის განმავლობაში.

როგორი ადამიანი და ვინ იყავ შენ ჩვენთვის, ძვირფასო თედო?

ამ რამდენსამე დღის წინეთ ერთს გაზეთის ფურცლებზედ გამოქვეყნებული იყო საშინელი სურათი გაჭირვებულ და უბედურ ცხოვრებისა სემინარიის მოწაფეთა. თუ ამ სიდუხჭირეს განიცდიან მოწაფენი ეხლა, როდესაც ბევრათ შეიცვალა და გაუმჯობესდა მათი ცხოვრება, ადვილი წარმოსადგენია—რას წარმოადგენდა სასულიერო სასწავლებელი და სემინარია იმ ძველ დროს, როდესაც მოქმედობდი, როგორც აღმზრდელი და პედაგოგი, ჩვენო თედო. იქ გამეფებული სულის შემხუთავი რეჟიმი მძიმე ლოდივით გვაწვა ჩვენ და სხივი სინათლისა არსაიდგან სჩანდა ჩვენთვის. ამ სასწავლებელში თავს იყრის ჩვენის სამღვდელოების ეკლესიის დაბალ მოსამსახურეთა და გლეხების შვილები. ესენი, მშობლიურ ნიადაგს და კერას მოშორებულნი, ცვივოდენ ამ გაყინულ სამეფოში... საზოგადოების გავლენას მოკლებულნი, უპატრონონი, ღვთის ამარათა... ამ ჯურღმულში შენ იყავი, ჩვენი „მასწავლებელიც, პატრონიც, ნათესავიც და ერთად-ერთი ჩვენი გზის მაჩვენებელიც“!..

ყველას იცნობდი, ყოველს ჩვენგანს თვალყურს ადევნებდი, ყველას ხელმძღვანელობდი!

მახსოვს პირადად მე, როცა სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში ვიყავი, როგორის მამობრივი სიყვარულით მექცეოდი. მახსოვს პირველად როგორ შემიყვანე შენს სამუშაო ოთახში, დიდხანს მესაუბრე ქართულ ენისა და მწერლობის შესწავლაზედ და მომეცი თხზულებანი გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილისა. შენ შეგვაყვარე ჩვენი ენა, მწერლობა, თუმც იმ დროს—ოფიციალურად „გეოგრაფიის“ მასწავლებელი იყავი.

განა ეს ადვილი იყო შენთვის? რამოდენა წვალება, რამოდენა ტანჯვა, დევნა და დამცირება... დამცირება „შენიანთაგან“ და „დევნა“ უცხოთაგან!.. მაგრამ, ეტყობა, რომ განგებამ გარგუნა ეგ მწარე ბედი—ბევრმა შეურაცგყო, ბევრმა ტალახში ამოსვარა შენი სახელი და ვინაობა სიკეთისთვის ბევრი მწარე და შხამი შეგასვეს! და სწორედ ეს მაფიქრებს ეხლა, გულს მიღრღნის...

სამუდამოდ გვშორდები, თედო, მიდიხარ ჩვენგან—ტანჯული და გაუხარელი. შეივედროს შენი სული უფალმა ღმერთმა, მოგმადლოს მაცხოვარმა იესო ქრისტემ სამუდამო მშვიდი ცხოვრება ამ ჩვენ დიდუბის ღვთისმშობლის მფარველობით და შეწევნით. აქ, ამ ქვეყნად სიამეს და ბედნიერებას მოკლებული, იქ, იმ ქვეყანას გყოს მაცხოვარმა სამუდამოდ ნეტარი და სამარადისოდ ბედნიერი? ამინ!

მომხმარებელი საზოგადოება „აღორძინება“

კვირას, 6 გიორგობისთვეს, მოხდა წლიური საერთო კრება საზოგადოების წევრთა. თავმჯდომარედ კრებისა არჩეულ იქმნა ნ. ელიავა, მდივნად გრ. ურატაძე. წაკითხულ იქმნა საზოგადოების ანგარიში 1915 წლის 10 ღვინობისთვიდან 1916 წლის 1 თიბათვემდე გამგეობის განმარტებით. წაკითხულ იქმნა აგრეთვე სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ. საზოგადოებას ამ ჟამად 7 ათასამდე წევრი ჰყოლია. საზოგადოების ოპერაციები ამ 8 თვის განმავლობაში უდრის 72,486 მან. წმინდა მოგება დარჩენილა 6,738 მან. საზოგადოებამ განყოფილებები გახსნა ავლაბარსა და ვერაზე. სარევიზიო კომისია, თავის მოხსენებაში, აღნიშნავს რა გამგეობის უსასყიდლო ენერგიულსა და ნაყოფიერს მუშაობას, ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ გამგეობას განყოფილებანი გაუხსნია საზოგადო კრების დაუკითხავად, რითაც ირღვევა წესდება და ამ საგნის შესახებ საზოგადო კრების დადგენილება წარსული წლის 10 გიორგობისთვისა. კომისია აგრეთვე აღნიშნავს, რომ საზოგადოებას ჯერ არაფერი გაუკეთებია კულტურულ-განმანათლებელ მოქმედების მხრივ, მაშინ როდესაც ასეთი დარგის მუშაობა სავალდებულოა კოოპერატივისათვის. დასასრულ, კომისია ყურადღებას აქცევს კოოპერატივის მოსამსახურეთა მდგომარეობას, რომელნიც დღეში 10 საათს

უბრალო გლეხი, მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნე. როგორ გამოდგება ეს ჩემ მეუღლედ და პატრონად?! ფიქრობდა ქალი.

და განზედ იწევდა, თვალს არიდებდა.

— მოვწონვარ, ძალიან კარგადა ვხედავ, რომ ვუყვარვარ, მაგრამ რას ვაქნევ მაგის სიყვარულს, როცა ჩემი საფერი არ არის იგი და არც ყადარი.

არა, არ ეჯავრებოდა ქალს მახარე, მხოლოდ თავის ღირსად არა სთვლიდა მას. მაინც კი სოფელში მახარეს ყველაზედ მაღლა აყენებდა ქალწული. მეტადრე მოსწონდა მისი დაუღალავი საქმიანობა, რადგან თითონაც ძალიან მხნე იყო და გამრჯელი.

რამდენჯერ მინახავს ეს ახალგაზდები სისხამ დილით უკვე საქმეზედ დამდგარნი თავ თავის ეზოში და მიფიქრია, სწორედ ერთმანეთისთვის არიან მეთქი გაჩენილები ეს დალოცვილები. ისე მქონდა წარმოდგენილი, რომ თუნდ ცივ ქვაზედ დაგესხა ისინი წყვილად, მაინც თავის სალი ჯანღონით და საქმიანობისადმი დაუშრეტელ ლტოლვილებით საიმედო ბინას შექმნიდნენ დოვლათით სავსეს და ბედნიერს. ფეფიკო ვერა ჰხედამდა ამას და თითონვე გზას უქცევდა კარზედ მიმდგარ ბედს. ხშირადა ჰხდება ესე: ადამიანი ვერ დაინახავს თავის ნამდვილ ხვედრს, სულ სხვას ეტანება ცხოვრებაში, მისთვის შეუფერებელს, და იტანჯება; ბრმა გული ვერა ჰხედავს თავის იღბალს თავისსავე გვერდზედ, სხვას დასწევდება მისთვის ეკლიანს და მთელ სიცოცხლეს ატარებს მოუსვენრად, შავადა ჰლევს დღეს თვისის ცხოვრებისას. ბედნიერი იქმნებოდა ფეფიკო მახარეს ხელში და ბედნიერ ჰყოფდა იგი გულწრფელად მოყვარულ ვაჟკაცს, მაგრამ ამას ვერა გრძნობდნენ ვერც თითონ ქალი, ვერც მისი პატრონები; ფეხი ჰკრეს ყისმათისაგან მათდამი მიპყრობილ რძით სავსე ერაწას, დააქციეს იგი სინოყივრე და თვით ჭურჭელიც გადააგდეს შორს თვისგან.

იმას ვამბობდი: როცა ლადიკო სამრეკლოზედ თამაშობას გართობოდა და თვის ნიჭს ხმამაღლა ამცნებდა არემარეს, წყალწაღებულ მახარეს ეგონა, ფეფიკო თუნდ ამ უბრალო ქცევიდან, ამ პაწაწინა მიჭრიტანიდან დაინახამდა, რომ ის აფრაკ ადამიანთან იჭერდა საქმეს, უშინაარსო ვაჟკაცთან, და ეჭვის თვალით შეხედავდა თვის მისწრაფებას. ამაოდ ეგონა! არ იცოდა ბეჩავმა, რომ რაკი ადამიანი ვისმე დაჰსახავდა თავის სასურველად, ვეღარა ჰხედავს იგი მასში რაიმე ნაკლს და თუნდ ხინჯი თვალში ეხირებოდეს, მაინც მხოლოდ შემთხვევითი ჰგონია იგი, როგორც რამ ჩრდილი მსწრაფლ წარმავალი. ბრმა არის თვალი გრძნობისა, ბინდ გადაკრული. ნახა მახარემ, რომ ამ შემთხვევამ, სრულებითაც არ შეაყოყმანა ქალი, ამ მცირე ხანში იმდენადაც კი დაუახლოვდა იგი უცხო ვაჟკაცს, რომ ერთად იწყეს მიდამო სვლა-სეირნობა და თავი ანება თავის სატანჯველ ადგილს, წავიდა, მოსცილდა იქაურობას, მთლადაც გადიკარგა. კარგი ქნა! რაღა უნდა გაეკეთებინა იქ, წმიდა ილიას კარს, როცა ხატი უგულოდ მოეპყრო მას, როცა დალოცვილმა სხვას სამის წყარო უდინა და ამოდ დაათრო, მას კი სიმწარე ასვა თასით ზედიზედ?!

ვ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება).

უშაობენ და ურჩევს კრებას ჯამაგირი მოუმატოს მათ საზოგადოების მოგებიდან 25—30 პროც. გამგეობა იზიარებს კომისიის შენიშვნებს და თავის მხრივაც საჭიროდ მიაჩნია მათი შესრულება. შენიშვნებმა ცხარე კამათი გამოიწვია. ბოლოს კრებამ დაადგინა: 1) განყოფილებები შემდეგში საზოგადო კრების დაუკითხავად და ნებადაურთველად არ გახსნას გამგეობამ, 2) არჩეულ იქმნას კომისია, რომელიც გამგეობასთან ერთად გამოარკვევს, თუ რამდენად მოსახერხებელია ამ ჟამად კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის დაწყება, ანუ რამდენი ფულის გადადება იქნება საჭირო ამ საქმისათვის. კომისიაში არჩეულ იქმნენ: პ. გელეიშვილი, ბ-ნი ერმალაევი, ბ-ნი სადაგაშვილი, ქაჯაია და ხართიშვილი; 3) მოსამსახურეთა შესახებ კრებამ დაადგინა: მოემატოთ ჯამაგირი, ხოლო ვის რავდენი, რომელი წყაროდან და სხ. ამის გამოსარკვევად აირჩია საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ბ-ნნი როხლინი, დარჩია, დენისოვი და ხართიშვილი. ვინაიდან დრო გადასული იყო და ბევრნი სახლში მიიჩქაროდნენ, შემდეგისათვის გადაიდვა დამტკიცება ანგარიშისა და ხარჯთ-აღრიცხვისა და აგრეთვე არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგ. 1915 წლის ანგარიში

(გაგრძელება).

სასკოლო სექცია და სკოლების მდგომარეობა.

სასკოლო სექციას შეადგენენ: ლ. ბოცვაძე (თავმჯდომარე), ივ. ზურაბიშვილი (თავმჯდომარის ამხანაგი), ალ. მიქაბერიძე, ს. იაშვილი, გ. ნათაძე, გ. იმნაიშვილი და სკოლების მეთვალყურე გრ. ბურჭულაძე. საანგარიშო წლის განმავლობაში სექციას ჰქონდა 33 სხდომა და გაარჩია 116 საქმე. სკოლების მეთვალყურემ წლის განმავლობაში ყველა სკოლები დაათვალიერა, ზოგი მათგანი ორჯელ-სამჯერაც. სექციამ წლის განმავლობაში შემდეგი პროექტები წარუდგინა საზოგადოების გამგეობას:

1) მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობა: ა) ჯამაგირების მომატება, ჯამაგირის მინიმუმისა და მაქსიმუმის დაწესება; ბ) საპენსიო კასის დაწესება. 2) შეძენილ იქმნას ორ-ორი დღის მიწა ვარიანსა და გურამიანთკარში სკოლებისათვის. 3) გამწესდეს მეორე მასწავლებლები იმ სკოლებში, სადაც ამას მოსწავლეთა სიმრავლე მოითხოვს და შესაფერისი შენობა არსებობს. 4) უნდა გაფართოვდეს სკოლის შენობები გერგეთსა, წინარეხსა, და ყალამშაში. 5) სკოლებისათვის ახალი შენობები უნდა აშენდეს გურამიანთ-კარსა, ვარიანსა და გომარეთში. 6) ახალი სკოლები უნდა დაარსდეს ახალციხის მაზრასა, საინგილოსა და სამეგრელოში. 7) მასწავლებელთა კრებები უნდა გაიმართოს პროგრამისა და საერთოდ სასკოლო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. 8) სახელსაწყო ნივთების მიწოდება ისეთ სკოლებისათვის, რომელნიც ამ მხრივ გაჭირვებას განიცდიან. 9) „დედა ენის“ პირველ ნაწილში აუცილებელი შესწორების შეტანა. 10) სახელმძღვანელოების გამოცემა იმ ანგარიშით, რომ 15 მარიამობისთვეს ყველგან ყველა სახელმძღვანელო საკმაოდ იყვეს.

აღნიშნულ მუხლთა შორის ჯერჯერობით განახორციელა გამგეობამ 1, 8 და 10. წარსულ წლამდე საზოგადოების სკოლის მასწავლებლის ძირითადი თვიური ჯამაგირი იყო 30 მან ამ წლიდან-კი გახდა 40 მანეთი; ამასთანავე დაწესდა სამწლოვანი მიმატება, ასე რომ უმაღლესი თვიური ჯამაგირი უდრის ეხლა 62 მანეთს. საპენსიო ანუ ურთიერთ დამხმარე კასის დაარსების პროექტს დიდის თანაგრძნობით მიეგება გამგეობა, მაგრამ მისი განხორციელება უსახსრობის გამო დროებით გადადებულია. სახელმძღვანელოები დროზე გამოიცა, ხოლო სკოლების მოსაწყობად და თვალსაჩინო ნივთების შესაძენად გამგეობამ გადასდო 400 მან., რომლისგანაც დაიხარჯა 397 მან. დანარჩენ პროექტების განხორციელება გადაიდვა შემდეგი წლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სასკოლო სექციის განკარგულებაში გადადებული იყო 1915 წელს სულ 12.335 მან., რომლიდანაც დახარჯულია 11.618 მ. 39 კაპ.

საანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონდა სულ 19 სკოლა. ზოგიერთი სკოლების შენობები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საფუძვლიან შეკეთებას და გაფართოებას მოითხოვს, ხოლო ზოგიერთები ნაქირავებ სახლებშია მოთავსებული და, ცხადია, ასეთებისათვის საკუთარ შენობათა აგება საჭირო. თანახმად 1914 წლის 1 მკათათვის კანონისა, საზოგადოების სკოლებში სწავლება დედა-ენაზე სწარმოებს; რუსულს ასწავლიან, როგორც კერძო საგანს. მასწავლებლებიც შედარებით ყველგან ღირსეული ჰყავს საზოგადოებას. ამ გარამოებით აიხსნება ის ფრიად სასიამოვნო მოვლენა, რომ სწავლა-აღზრდის მხრივ საზოგადოების სკოლები გაცილებით მაღლა სდგანან სამინისტრო და სამრევლო სკოლებზე. მრავალ მხრივ საინტერესოა ამ სკოლების ცალკ-ცალკე გაცნობა, მოკლედ მაინც.

1) **აკაურთის** (ბორჩალოს მაზრა) სკოლა დაარსდა 1914 წელს, შემოდგომაზე. ამ სოფელში სცხოვრობენ: 18 კომლი ქართველი, 7 კომლი სომეხი და 25 კომლი მაჰმადიანი. სკოლის მზრუნველად არის ადგილობრივი მემამულე კნ. მარ. გ. არღუთინსკი, რომელმაც, გარდა ბინის დაქირავებისა, სკოლის პირველ მოწყობაზე დახარჯა 300 მანეთზე მეტი და მუდამ ხელს უწყობს მოსწავლეებს. წარსულ სამოსწავლო წლის დასაწყისში სკოლაში მოიყვანეს 8 მოწაფე, მაგრამ მერმეთ მოწაფეთა რიცხვი გაიზარდა და რამდენსამე თვის შემდეგ სკოლაში სწავლობდნენ: 10 ქართველი, 13 სომეხი და 2 მაჰმადიანი. 1915 წლის გიორგობისთვეში სკოლას მეორე განყოფილებაც მიემატა და მოსწავლეთა რიცხვი 30 ს უდრიდა, რომელთა შორის იყვნენ: 15 ქართველი, 11 სომეხი და 4 მაჰმადიანი. საზოგადოებამ ამ სკოლას დაახარჯა წლის განმავლობაში 624 მან 46 კაპ. შეშას და მსახურს სოფელი აძლევს უსასყიდლოდ. რადგან ბინა სავსებით არ შეეფერება სკოლის მოთხოვნილებას, მზრუნველს კნ. არღუთინსკის გადაწყვეტილი აქვს ახალი ბინის აგება.

2) **ატენის** სკოლა დაარსდა 1912 წელს. ამ სოფელში სცხოვრობს 200 კომლი ქართველი, რომელთაც სკოლის საქმე სრულებით არ ეინტერესებათ და ბავშვებს ნაკლებად გზავნიან სკოლაში. საზოგადოებამ დახარჯა ამ სკოლაზე წლის განმავლობაში 550 მან. შეშასა და მსახურს მოწაფეთა მშობლები იძლევიან, სკოლა დროებით მოთავსებულია თავად-აზნაურთა სახლში. შენობა კარგი და სავსებით შეეფერება სკოლის მოთხოვნილებას. სასკოლო სექციის აზრით, საზოგადოებამ უნდა სთხოვოს თავად-აზნაურობას, რომ ეს სახლი ეზოიანად სამუდამოდ დაუთმოს სკოლას.

3) **ბათომის** სკოლა დაარსდა 1884 წელს მაჰმადიან ქართველთა ბავშვებისათვის; სკოლას იმ თავიდანვე ინახავდა ადგილობრივი განყოფილება წერა-კითხვის საზოგადოებისა. ომიანობის გამო სკოლაში სწავლა შესწყდა 1914 წლის პირველ გიორგობისთვიდან, ასე რომ საანგარიშო სამოსწავლო წელს ამ სკოლაში სწავლა აღარ ყოფილა და სკოლის საკუთარ შენობაში მოათავსეს ქალაქის საავადმყოფო. რადგან ადგილობრივ განყოფილებას აღარავითარი სახსარი არ ჰქონდა, სკოლის მასწავლებელს ჯამაგირს აძლევდა მთავარი გამგეობა. 1915 წლის ენკენისთვეში მთავარმა გამგეობამ განაახლა თავის ხარჯით სკოლა. შენობა სკოლისათვის დაიქირავა ქალაქის თვითმართველობამ. პირველად სკოლაში გამოცხადდა მხოლოდ 15 ბავშვი, მაგრამ რამდენსამე თვის შემდეგ მოწაფეთა რაოდენობა 44-მდე ავიდა, რომელთა შორის 9 მაჰმადიანი ქართველი იყო (5 ქალი და 4 ვაჟი). საანგარიშო წლის განმავლობაში მთავარმა გამგეობამ დახარჯა ამ სკოლაზე 1370 მანეთი.

4) **ბაქოს** სკოლა დაარსდა 1909 წელს იქ მცხოვრებ ქართველებისათვის. სკოლას ინახავს საზოგადოების იქაური განყოფილება. სკოლის შენობაში, გარდა თვით სკოლისა, მოთავსებულია დრამატიული კომიტეტი და მისი გარდერობი, ბიბლიოთეკა, ბაქოს განყოფილების კანცელარია და დარაჯის ბინა. შენობა შესდგება რვა ოთახისაგან და აქვს ოთხ ოთახიანი ჩინებული სარდაფი. ეს მშვენიერი სახლი რომელიც ყოველმხრივ აკმაყოფილებს სკოლის საჭიროებას, საგანგებოდ ააგო ბაქოს განყოფილებამ. სკოლაში 4 განყოფილებაა და თითოეულ განყოფილებას სავსებით მომზადებული საკუთარი მასწავლებელი ჰყავს. მასწავლებლები სრულის თანხმობით მუშაობენ, ერთმანეთ შორის საქმიანობითი და მეგობრული განწყობილება აქვთ, რაიცა მათ პედაგოგიურ მომზადებასთან ერთად დიდად ანვითარებს სკოლის წარმოებას. ეს სკოლა ერთი საუკეთესოგანია მთელს რაიონში. საანგარიშო წლის განმავლობაში განყოფილებამ დაახარჯა სკოლას 5,455 მ. 67 კაპ.

5) **ბორბალოს** (თბ. მაზ.) სკოლა დაარსდა 1914 წელს. სკოლის პირველი მოწყობა და ბინის დაქირავება იკისრეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. სკოლის დაარსება-მოწყობაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მემამულემ დ. ა. სოლოღაშვილმა. სოფელი თუმცა პატარაა, (60 კომლისაგან შესდგება), მაგრამ დაარსებისათანავე სკოლაში გამოცხადდა 44 ბავშვი. ზედმეტიც გამოჩნდა შიგ შესვლის მსურველი, მაგრამ უადგილობის გამო ვეღარ მიიღეს. ამ 44 მოწაფეთა შორის 36 მართლმადიდებელი ქართველია და 8 გრიგორიანი; 24 ქალია და 20 ვაჟია, 33 ბავშვი ბორბალოელია და 11 ლოუბნელი. საზოგადოებამ დაახარჯა სკოლას 708 მან. 29 კაპ. სკოლის მოთხოვნილებას შენობა სავსებით ვერ შეეფერება, ამიტომ სოფელი ფიქრობს ახლო მომავალში საკუთარი შენობა აუგოს სკოლას.

6) **გერგეთის** (დუშეთის მაზრა) სკოლა დაარსდა 1910 წელს მოხევეთა შორის. სოფელმა თავისი ხარჯით და წერა-კითხვის საზოგადოების მცირე დახმარებით აუშენა სკოლას საკუთარი სახლი, რომელშიაც საკლასო ოთახის გარდა მოთავსებულია მასწავლებლის ბინაც. საანგარიშო წელს სკოლაში 4 განყოფილება იყო და ოთხივეში 1 მასწავლებელი ასწავლის. რაღა თქმა უნდა, ასეთმა გარემოებამ სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა. საზოგადოებამ დაახარჯა სკოლას 1915 წელში 589 მანეთი. სკოლის შენობა ჯერ კიდევ ნახევრად დაუმთავრებელია. ამასთანავე შენობას გაფართოებაც ესაჭიროება, რომ შესაძლებელი გახდეს მეორე მასწავლებლის მოწვევა.

7) **გომარეთის** (ბორჩალოს მაზრა) სკოლა დაარსდა 1877 წელს. სოფელში სცხოვრობს 260 კომლი ქართველი. თითქმის ყველა შეძლებული გლეხობა. სამწუხაროდ, სწავლის როლში სიყვარული და მისწრაფება ჯერ ნაკლებად არის მათში გაღვიძებული. სოფელში სასკოლო აგარაკის ბავშვი სამასზე მეტი იქნება, მაგრამ სწავლის დაწყებისას სკოლაში 20—30 ბავშვი ძლივს გამოცხადდება ხოლმე, ეს რიცხვი ზამთარში 60 მდე ადის, მაგრამ გამოზაფხულდება თუ არა, ბავშვების რიცხვი კლებულობს და მაისში 20 ძლივს-ძლიობით შერჩება სკოლას. აქ მასწავლებელი დიდხანს უნდა ეჩიჩინოს მშობელს, რომ სკოლაში ბავშვი გაგზავნოს. საანგარიშო წელს საზოგადოებამ დახარჯა სკოლაზე 551 მან. 23 კაპ. მომსამსახურეს, ნავთსა და შეშას სოფელი აძლევს. სკოლის შენობა დაძველებულია. ამ ჟამად არც ჭერი უვარგა, არც კედლები, არც სარკმელები და არც სახურავი; ყველაფერი თანდათან ინგრევა. შეკეთებით არა გამოდის-რა, აუცილებლად საჭიროა ახალი სახლის აგება.

8) **ვარიანის** სკოლა დაარსდა 1914 წლის ღვინობისთვეში სახელოვან პედაგოგის ი. გოგებაშვილის სახელობაზე, თანახმად მისი ანდერძისა. სკოლა მოთავსებულია დაქირავებულ სახლში. წარსულ სამოსწავლო წელს სკოლაში მხოლოდ პირველი განყოფილება იყო და სწავლობდა 44 ბავშვი. წლის განმავლობაში საზოგადოებამ დახარჯა სკოლაზე 934 მან. 73 კაპ. სოფელი, რომელიც 60 კომლისაგან შესდგება, თავისუფალია ყოველივე გადასახადისაგან. შენობა ვერ არის შესაფერისი სკოლისათვის. რადგან ამ სოფელში, თანახმად განსვენებულ ი. გოგებაშვილისა, სამაგალითო სკოლა უნდა მოეწყოს და სკოლას თითო განყოფილება ყოველ წლობით ემატება, საჭიროა სკოლისათვის საკუთარი შესაფერისი შენობის აგება.

(შემდეგი იქნება)

წერილი ქიზიყიდან

ქიზიყის თამბაქო.

იქნება ზოგიერთს ჩვენს მკითხველს არც კი მოეხსენებოდეს, რომ ქიზიყში თამბაქოს მოყვანა გავრცელებულია და ბაზარზედაც ამ თამბაქოს დიდი გასავალი აქვს. ქიზიყში თამბაქოს მოვლა-მოყვანა სულ 20—25 წელიწადია რაც დაიწყეს. პირველად თამბაქოს მოყვანას ქიზიყში შეუდგნენ ერთი ჯუგაანელი გლეხი ილიკო მატიაშვილი და რამდენიმე ადგილობრივი და ლაგოდეხელი ამხანაგები. გლეხ მატიაშვილის ისტორია დიდია და ფრიად საყურადღებო, მაგრამ ეს შემდეგისათვის იყოს. აქ კი აღვნიშნავ, რომ ამ თამბაქოს ძიებაში მან თბილისში ტრაღიკულად დალია სული. ქიზიყელებმა აქედან იგი წაასვენეს, დაასაფლავეს სოფ. ჯუგაანში და შესაფერი წარწერიანი ძეგლიც დაუდგეს.

ამ უკანასკნელ წლებში თამბაქოს მოყვანამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ მთლად ქვემო ქიზიყის ალაზნის ველი თამბაქოს პლანტაციებით ამწვანდა. თამბაქო მოეფინა ალაზნის გაღმა—ლაგოდეხშიაც. ასე რომ ამ ბოლო დროს ყოველ წლივ თითქმის რომ მთლად ქიზიყში 125000 ფუთი ყოველგვარ ხარისხის თამბაქო მოჰყავთ. უკანასკნელ წლებამდე ამ თამბაქოს ბაზარი არ ჰქონდა. იყო ერთი მთავარი აგენტი თბილისელ ბოზარჯიანცის და ენფიანჯიანცის ქარხნებისა სერგო სიმონიანცი, მეტ სახელად გაქუცული, რომელიც ქიზიყელ მდაბიო გლეხ-კომისიონერების საშუალებით ისე აფოლებდა თამბაქოს, რომ ფუთი პირველ ხარისხისა 2 მანეთამდე დაუცია. რა ექმნათ გლეხებს? სხვა მყიდველი არავინ იყო და იმდენი კიდევ არ ესმოდათ, რომ კავშირი შეეკრათ და სხვაგან დიდ მექარხნეებთან დაეჭირათ საქმე, ან საზღვარ-გარედ გაეტანათ. რომ მილიონები ჩვენს ბეჩავს გლეხს მუქთად არ დაჰკარგოდა, მისის ნაშრომით თვითონვე ესარგებლნა და კერძო ჩარჩების ანაბარად არ დარჩენილიყო, მრავალ გულ-შემატკივარს განუძრახავს მეთამბაქოეთა კავშირით შეკვრა და თამბაქოს გაყიდვის მოწესრიგება, მაგრამ სურვილი სურვილად რჩებოდა.

ბოლოს, ქიზიყის დიდმა მოამაგემ, გლეხებისაგან დიდიად პატივცემულმა და მეგობრად მიღებულმა თ-დმა დიმიტრი ერასტის ძემ ყოლოყაშვილმა მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. ჭიაურში ააგო უზარმარი საწყობი, რომ იქ გლეხებს მიეტანათ თამბაქო, დაეზღვივნათ და შემდეგ, როცა მაზანდა კარგი იქნებოდა, გაეყიდნათ.

ეს არ ეჭაშნიკათ ჩვენს მეზობელ მოვაჭრეებს, და მით უმეტეს „გაქუცულს“. შეკრეს პირი, გამოუცხადეს ბოიკოტი და თ-დ დიმიტრი ჩოლოყაშვილის საწყობში შენახული თამბაქო აღარ იყიდეს. ესეც არ იკმარეს. შიგა და შიგ ბოროტნი პირნი აუმხედრეს. ჩვენმა ხალხმა პირი ვერ დაიჭირა. დასცეს თ-დ ჩოლოყაშვილის დაწყებული დიდებული საქმე. ქიზიყელებისთვის მოამაგე თ-დი დიმიტრი ჩოლოყაშვილი იმ წელიწადს ორასი ათასი მანეთით აზარალეს. ეს ფული გადაიხადა თ-დ დ. ჩოლოყაშვილმა, თამბაქოზეც ხელი აიღო.

ამის შემდეგ თამბაქოს ფასმა უფრო დაიწია. სწუხდა ქიზიყელი, მაგრამ ვისთვის მიემართნა. ჩვენი ინტელიგენცია განყენებულ საგნებზე მსჯელობდა და ამა თუ იმ პარტიის წევრობას ჩემულობდა. ოთხი წლის წინად დიდი მეთამბაქოეები შევიკრიფენით და გადავწყვიტეთ საზღვარ გარედ დაგვეჭირა საქმე. იქ გვეგულებოდნენ ჩვენებური ყმაწვილები. ამ დროს ბერლინში სწავლობდა ჩვენი მგოსანი სანდრო შანშიაშვილი. მას ვაცნობეთ ყველაფერი და პასუხად მივიღეთ, რომ დაუყოვნებლივ თამბაქოს ნიმუშები გამოგზავნეთ, ბერლინელ მექარხნეებთან გაგიწყობთ საქმესაო. ჩვენც გავგზავნეთ. რამდენსამე თვის შემდეგ ცნობა მივიღეთ, რომ თამბაქოს მრეწველებს ვუჩვენე თქვენი ნიმუშები, რწმუნების ქაღალდი მოგვეცით, ფუთს თამბაქოს 30—70 მანეთად ყიდულობენო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

მაგრამ აქაც ბედმა გვიმუხთლა. დაიწყო ომი და საქმე სულ ერთიანად ჩაგვეშალა. თამბაქოს ფასი კი ჩვენში თანდათან ეცემოდა გაქუცულ სერგოს*) და მისის კომისიონერების წყალობით. რამდენიმე მეთამბაქოე მაინც არ ვსცხრებოდით. ავდექით და მივმართეთ პეტრეს ქალაქში ალექსანდრე ნადირაძის მეთაურობით ალექსანდრე ახმეტელს. მას უმალვე მოლაპარაკება გაემართნა რუსეთის სინდიკატთან. სინდიკატის წარმომადგენელს გორდონს ფრიად გულში ჩაჰვარდნოდა ქიზიყის თამბაქოს ამბავი.

შარშან გაზაფხულს ბ-ნმა ალექსანდრე ახმეტელმა სინდიკატის წარმომადგენელი მოიყვანა და ქიზიყის თამბაქოს ბინები დაათვალიერებინა. იმ წელიწადს სინდიკატმა ვერაფერის ყიდვა მოახერხა რადგან სერგო სიმონიანცს უკვე თამბაქო ეყიდნა და ბევრიც დაერიგებინა. მეორე წელიწადს სინდიკატმა თბილისში თავისი განყოფილება გახსნა. დაფაცურდნენ ადგილობრივ თამბაქოს ქარხნების წარმომადგენელნი.

პლანტატორი.

(შემდეგი იქნება)

---

*) გაქუცული ქიზიყელებმა გამოცვლითი სახელი დაარქვეს, რადგან პირველად იგი მეტად ღარიბი იყო, დღეს კი მილიონების პატრონია ამ თამბაქოს წყალობით და თბილისში სამ-ოთხ ალაგას უშველებელი სახლები აქვს და საკუთარ ფაბრიკასა ხსნის.

ღია წერილი

მე მაქვს დაწერილი ორი ისტორიული დრამა: ერთი „ბედი ქართლისა“ 4 მოქმედებად, იბეჭდებოდა ჟურნალს „თეატრი და ცხოვრებაში“ და მოუნდა 14 ნომერი. ეს ნომრები შეგროვილი მქონდა და ვიღაცამ გამომართვა წასაკითხავად. მეორე დრამა 2 მოქმედებად „ეკა გურიელისა“, ჯერ დაუბეჭდავი. ეს დრამაც კარგა ხანია ვიღაცამ გამომართვა წასაკითხავად. ახლა რომ აღარ მახსოვს, ვის მივეცი, ეს დრამები, უმორჩილესადა და დიდის მოწიწებითა ვსთხოვ დამიბრუნოს. რას მერჩის, დამიბრუნოს, რომ ამათი ცალკე წიგნაკად გამოცემა შევიძლო.

ჩემი ბინა არის: ყაზბეგის მისახვევი, სახლი № 4.

კოტე ყიფიანი.

დაბა-სოფლები

სოფ. კარალეთი. როგორც ამბობენ, აქ საქონლის ჭირიაო. ამისათვის სოფლის თავში და ბოლოში ყარაულები დგანან, რომელნიც სოფელში ურმებს არ უშვებენ. მათ მეთაურად „სტრაჟნიკია“. არ უშვებენ მათ, ვინც ურემზე მანეთს ან მეტს არ მისცემს. მაშინ თურმე ჭირი ჰქრება. არა მჯეროდა, ამას რომ მეუბნებოდნენ. ღამე ჩავიარეთ ურმებით. სოფლის თავში არავინ დაგვაყენა, ხმა არვინ გაგვცა. ალბათ, ჭირი გაჰქრა მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ აი, მივაღწიეთ სოფლის ბოლოს, და გადმოგვიდგა სტრაჟნიკი: „ნება არა მაქვს ურმები გავატაროვო, ჭირს სხვაგან გაიტანთო“. შევფიქრიანდით, მაგრამ თითო მანეთიანი რომ შევაძლიეთ, გზა ხსნილი იყო. საკვირველია, სოფლის თავში რათ არ დაგვაყენეს, ან ყურადღებას რატომ არვინ აქცევს ამგვარ ვაჟ-ბატონთა თავგასულობას.

გზათ ჩამვლელი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:				
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03	დილ.
„	სამგზ.	№ 9,	10.33	სად.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	11.13	დილ.
„	სამგზ.	№ 8,	3.54	დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28	სად.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.13	სად.
თელავისაკენ		№ 4,	8 „ 58 „	დილ.
თფილისში მოდის:				
ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	9.52	დილ.
„	საფ.	№ 4,	8.38	სად.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.48	დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12	სად.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.08	დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12	სად.
„	ჩქარ.	№ 5,	8.48	სად.
თელავიდან		№ 3,	. 6 „ 24 „	სად.

სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

ჩვენი გარანტია.

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 отд. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის ყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

მიმართეთ
— ცნობის კონტორას —
ი. თ. გვათუასას
თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა გასწევს როგორც ქალაქელთა ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფად და პირნათლად ასრულებს.

◆ ხელმისაწვდენ ფასებში ◆

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ჟემჩუჟნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაზეთის შესახვევი № 4.